საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 ივლისი, 2014 წელი.

№130 (7511)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლებამ არა საკუთარ თავზე, არამედ ქვეყანასა და ხალხზე უნდა იფიქროს ③

ხელისუფლება და საზოგადოება დგანან ასეთი სახის პრობლემის წინაშე — ერთი მხრივ აუცილებელია საჯარო მოხელეთა ატესტაცია, მეორე მხრივ, რეალურად არის ის პრობლემა, რომელზეც ვისაუბრე. თუ ხელისუფლება და საზოგადოება საჯარო მოხელეთა შერჩევაში აქამდე არსებულ პრაქტიკას თავს ვერ დავაღწევთ, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია, მივიღებთ ახალ რევოლუციას.

◎ იწყება „თავდავიწყება?“

რესპუბლიკა კაზანტიპს აძვს საზღვრები, მაგრამ არა აძვს ტერიტორია; ითვლება სახელმწიფოდ, რომელიც დროდადრო გადაადგილდება სივრცეში; რესპუბლიკის დედაქალაქია ნებისმიერი დასახლებული პუნქტი, რომელიც თავისდაუნებურად რესპუბლიკის ცენტრში აღმოჩნდება.

„რესპუბლიკა კაზანტიპის“ კონსტიტუცია. თავი I

დიდი ოლიმპიადა, დრო ანაკლიაში

„რესპუბლიკა კაზანტიპი“ ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. თავად სახელწოდება თურქული ეტიმოლოგიისაა და ყირიმელ თათართა ენაზე „ქვაბის ძირს“ ნიშნავს. ალბათ, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ თავად კონცხი ზღვის დონიდან მხოლოდ ასშვიდ მეტრ სიმაღლეზეა. საბანაო სეზონი ჯერ კიდევ მარტში იწყება, როდესაც ზღვის წყლის ტემპერატურა აქ 18 გრადუსს ასცდება, საშუალო ტემპერატურა კი 24-25 გრადუსია. ბუნება მართლაც მშვენიერია — ტყეებში ჩაფლული გორაკები, უამრავი წყლის ფრინველი, თბილი ჰავა, ნაპირთან საკმაოდ დაბალი სიღრმე (ძალიან წააგავს ჩვენს ურეკს), არცთუ საშიში ტალღები. ამ ადგილს სერფინგის უამრავი მოყვარული ეტანება — კაიტსერფინგისტები და ვინდსერფიგინსტები. გასული საუკუნის მიწურულს აქ რუსეთისა და უკრაინის სერფინგისტთა მონაწილეობით პირველი შეკრება-შეჯიბრიც კი ჩატარდა. ასე რომ, ეს „რესპუბლიკა“ მართლაც არსებობს და კაზანტიპის კონსტიტუციის შემქმნელთა ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ.

იხ. 9 გვ.

„პამპულები შეიკაზმენ“ ④

ლადო პაპავა: „ვამაყობ, რომ უსამართლოდ გაშვებული რამდენიმე პროფესორი დაბრუნდა უნივერსიტეტში“ ⑤

სახელგანთქმული ბედუკულმართები ⑥

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მარგველაშვილმა ამერიკელ ხალხს დამოუკიდებლობის დღესასწაული მიულოცა

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილმა მილოცვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას და აშშ-ის ვიცე პრეზიდენტს ჯოზეფ ბაიდენს გაუგზავნა.

„მის აღმატებულებას ბატონ ბარაკ ობამას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თქვენო აღმატებულებავ, ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, გილოცავთ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმოწერის 238-ე წლისთავს. ვულოცავთ ამერიკელ ხალხს ამ დღესასწაულს და მადლობას ვუხდით საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაში შეტანილი განუსაზღვრელი წვლილისა და ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისათვის. იმედს გამოვთქვამ, რომ საერთო პრინციპებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც წარმატებით ვითარდება აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით, კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება მომავალში. ბატონო პრეზიდენტო, მსურს, მოგიწვიოთ საქართველოში ნებისმიერ თქვენთვის მოსახერხებელ დროს, რათა უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის ასპექტები. ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეროვნული დღესასწაული და გისურვოთ თქვენ და ამერიკელ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა. თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემის დადასტურება, — ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის მისალოც წერილში.

პრეზიდენტი ტიმ სევერინს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მეცნიერი და მწერალი ტიმ სევერინი მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, გიორგი მარგველაშვილმა და ტიმ სევერინმა კონფერენციის „არგო 2014“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც ინგლისელი მეცნიერი საქართველოს საგანგებოდ ესტუმრა.

საუბრისას მათ „ახალი არგონავტების“ 1984 წლის მოგზაურობაც გაიხსენეს, რომლის დროსაც ექსპედიციამ სამი ათასი წლის წინანდელი მარშრუტი გაიმეორა.

ქვეყნის პირველმა პირმა ინგლისელ მეცნიერს პრეზიდენტის სასახლეც დაათვალიერებინა.

ტიმ სევერინი საქართველოში 30 ივნისიდან სტუმრობს და 6 ივლისამდე დარჩება. კონფერენციის „არგო 2014“ მუშაობაში მონაწილეობას იგი ინგლისელ, ირლანდიელ, თურქ და ბერძენ ყოფილ არგონავტებთან ერთად მიიღებს.

ტიმ სევერინის ექსპედიციამ 1984 წელს ძველი ნახაზებით აგებული ხის გალერით გაიარა ის გზა, რაც სამი ათასი წლის წინათ ლეგენდარულმა იასონმა „არგოთი“. საბერძნეთის ქ. ვოლოსიდან ეგეოსის ზღვის, დარდანელის სრუტის, მარმარილოს ზღვის, ბოსფორის სრუტისა და შავი ზღვის გავლით ფოთს (ფაზისი) მიაღწია და იქიდან მდინარე რიონით ქუთაისში ჩავიდა.

ტიმ სევერინის მოგზაურობამ დაამტკიცა არქაული ზღვაოსნური საშუალებების გამოყენებით არგონავტების თქმულებაში აღწერილი მოგზაურობის შესაძლებლობა. „ახალმა არგონავტებმა“ მაშინ სვანეთიც მოინახულეს, როგორც ლეგენდარული ოქროს საწმისის ადგილსამყოფელი, — ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ ეხმაურებიან

ავაცილოთ ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი არქიტექტურული ურჩხული

დიდი კმაყოფილების გრძნობით წავიკითხე „საქართველოს რესპუბლიკის“ (2014, 2 ივლისი) ფურცლებზე ცნობილი ქართველი არქიტექტორის, ბატონ ვატანგ დავითაიას წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე — „კიდევ ერთი სიბეცე და უყაირათობა, რომელიც ეხება წარსული ხელისუფლების მიერ დაგეგმილ და დაწყებულ ყოვლად გაუმართლებელ, დანაშაულებრივ და უკულმართ პროექტს — სასტუმრო „რედისონ ბლუ“ — მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობას.

ამ, მთლიანად პირადულ და, რა თქმა უნდა, ანგარებიან ინტერესებზე დამყარებული „არქიტექტურული ურჩხულის“ რეალიზება დაუშვებელი და მიუღებელია, როგორც სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევის თვალსაზრისით, ისე ეთიკური, სიცოცხლისეული ფაქტორის გათვალისწინებით: იგი ხომ უდიდეს საფრთხეს უქმნის საბაგირო ტრასის მთელ სიგრძეზე ქვეშგანლაგებულ შენობებსა და, რაც მთავარია, მათ მაცხოვრებლებს!

ასეთი არის ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის მოსაზრება ამ ძალზე მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხის შესახებ.

ერთსულოვნად ვუერთდებით წერილის ავტორის — ბატონ ვახტანგ დავითაიას თხოვნას ჩვენი ხელისუფლების მიმართ: სასწრაფოდ შეჩერდეს სამშენებლო სამუშაოები უაზრო და მავნე პროექტების რეალიზაციის მიმართულებით.

ვაჟა აზარაშვილი,
საქართველოს სახალხო არგისტი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი;
გულბათ ტორაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

პრემიერის დავალებით ითა წულუკიანი უკრაინაში გაემგზავრება

მათივე ცნობით, საქართველოსა და უკრაინას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, უწყებათაშორისი ჯგუფები შეიქმნება, რომელთა მუშაობაში ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

— საქართველო უკრაინას ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების გამოცდილებას გაუზიარებს. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ მთავრობათაშორისი ურთიერთობებისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა, რასაც უკრაინის დელეგაცია კმაყოფილებით შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას მნიშვნელოვანი უწოდეს უკრაინის იუსტიციის მინისტრმა პავლო პეტრენკომ და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაქსიმ ბურბაკმა. მათ იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოსა და უკრაინის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, რადგან ორმა ქვეყანამ უკვე საბოლოოდ დააფიქსირა თავისი ევროპული არჩევანი“, — აღნიშნულია პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

შავ ზღვაში ნატოს ხომალდები შემოვიდნენ

შავ ზღვაში ნატოს ოთხი ხომალდი დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მიზნით შევიდა. ინფორმაციას ამის შესახებ ნატოს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, შავ ზღვაში ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო ნაღმების გამნაღმველი ჯგუფის (SNMCMG2) ხომალდები შევიდნენ. ხომალდებს შორის იტალიური სარაკეტო ფრეგატი „ავიერი“, ასევე იტალიური ხომალდი „რიმინი“, თურქული „აქჩაი“ და ბრიტანული „ჩიდინგფოლდი“ არიან.

ამასთან, ნატოს ხომალდები ბულგარეთის პორტ ბურგასში შევლენ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის საზღვაო ძალების სამხედრო წვრთნებში „ბრიზ 2014“.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● უკრაინის პატრიარქს უნდა შევხვედროდიო, რომ ამბობს ეს ხაზინის ქურდი, სააკაშვილი რომელმა სინოდმა აირჩია უკრაინის პატრიარქად?

● გლეხის ფიქრები:

ხელოვანის სტიქია თავისუფალი ქაოსია. ამ ქაოსში ის ეძებს, ხატავს, ქმნის, გამოყავს, ასულდგმულებს, თავისუფალი იდეისა და მატერიის ნაკუწებისგან დიადს და განუმეორებელს, რაც უამრავ ადამიანში იწვევს დადებით და უარყოფით ემოციებს. ჭეშმარიტი ხელოვანი სტანდარტებში ვერასდროს ვერ ჩაჯდება. სადაც სტანდარტი იწყება, იქ ხელოვნება მთავრდება.

● მარჯვნივ (ეკრანზე — მარცხნივ) ვინ უდგას მელიას, — ქალბატონი ბერძენიშვილი?

რა მხიარულ კაბაში შემოსილა, ამ გაჭირვების ჟამს?!

დანარჩენები ვინ არიან?

კითხვები... კითხვები...

● ამ „ტუდა—აბრატნი“ ბილეთს რო გვიფრიალებს თეძო, ვერ გააუქმებდა „აბრატნის“ თუ დაკარგულ ფულზე დაწყდებოდა გული?

● უგულავა, თბილისი-კიევი-„აბრატნა“ ბილეთების საფასურის კომპენსაციას ითხოვს.

უკვე მერამდენედ დააზარალეს ეს კაცი!

● „Поехали!“ — ეს გაგარინის კოსმოსში გაფრენის წინ ნათქვამი ცნობილი სიტყვაა.

„ეს ერთი... ეს ოოორი... წავიდააა...“ — ეს უგულავას ნათქვამი ფრაზაა, კიევში გაფრენის მაგივრად-ის წინ.

● გიგის კიდე ნანუაშვილის მონახულება უნდა?

● ქალი კოჟორიძე როა — გიგაური, იმას გიგი უყვარს?

● ვინც გიგის დაჭერის გადაწყვეტილება მიიღო, არის ნაციონალი! თქვენ თუ იმას ვერ ხვდებოდით, რომ მხოლოდ ეგ უნდოდა და ყველაფერს აკეთებდა მაგისთვის, სულელები ხართ. ეს ის ამბავია, რაც გიგის პოლიტიკურად გააძლიერებს. ერთადერთი კითხვა დამრჩა, ვინ არის „ქართულ ოცნებაში“ , გიგისგან რომ ასე უპირობო ლიდერი შექმნა. ახლა კი გეცინებათ, რასაც ვამბობ უპირობო ლიდერთან დაკავშირებით და ცოტა ხანში გამიხსენეთ.

● აი, ის ხალხია მაგარი, გიგის მხარდასაჭერი აქციიდან სახლში რო მივა, ცოლი რო ჰკითხავს, რა ხდება გიგის თავსო და რავი, ერთი მაგის დედაცო.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ადვოკატის იმედზე...

უგულავა ჩვენებების მიცემაზე უარს ამბობს

ე.წ. მოდულის შენობაში გიგი უგულავას ბრალი წარედგინა. როგორც ჟურნალისტებს ბრალის წარდგენის შემდეგ, ე.წ.მოდულის შენობიდან გამოსულმა უგულავას ადვოკატმა გიზო უგლავამ განუცხადა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდებას დაემატა მარნეულის ეპიზოდიც. მისი თქმით, უგულავას ბრალი დაედო მარნეულის ეპიზოდთან დაკავშირებით ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და იძულებისთვის.

— უკვე ნათელი გახდა დღემდე რატომ არ გვეუბნებოდნენ რა დანაშაულისთვის იყო დაკავებული გიგი უგულავა. ყველასთვის სიურპრიზი იქნება, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და ყალბ დოკუმენტებს დაემატა მარნეულის ეპიზოდი, რომელშიც ბრალი წარედგინა ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და იძულებისთვის. თავად გიგი უგულავა მიიჩნევს, რომ უკანონოდ არის დაკავებული და გამომძიებლებთან დავაყენეთ შესაბამისი მოთხოვნა, როგორც უკანონოდ დაკავებულის გათავისუფლების შესახებ, — განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, უგულავა მიიჩნევს, რომ არის პოლიტიკური პატიმარი. როგორც ადვოკატი აცხადებს, უგულავამ თავისი ნებით უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. მისი თქმით, უკანონო შემოსავლებისა და მარნეულის საქმე გაერთიანებულია. ადვოკატის ინფორმაციით, მარნეულის ეპოზოდში მოწმეები საარჩევნო კომისიის წევრები არიან.

უგლავას თქმით, გიგი უგულავას სხვადასხვა მუხლებით წარედგინა ბრალი. როდის გაიმართება აღმკვეთი ღონისძიების შესახებ სასამართლო, ადვოკატისთვის ჯერ უცნობია.

ხელისუფლებამ არა საკუთარ თავზე, არამედ ქვეყანასა და ხალხზე უნდა იფიქროს

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და კონსტიტუციონალისტს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა

— ბატონო ვახტანგ, მთავრობამ პარლამენტს ადგილობრივ მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის წესის დამტკიცების წინადადებით მიმართა. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომელთაც ატესტაცია არ გაუვლიათ, 2015 წლის 1 ივლისამდე ატესტაციას დაექვემდებარებიან. თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეებიდან მხოლოდ 3,5%-ია დანიშნული კონკურსის შედეგად. მოხელეთა ატესტაცია რომ აუცილებელია, არავინ დავობს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ატესტაციის შემდეგ ისეთივე სურათი მივიღოთ, როგორც 2004-2005 წლებში? მხედველობაში მაქვს ის, რომ 2003 წელს მოსულმა ხელისუფლებამ ძველი კადრები გაუშვა, კონკურსები კი ჩაატარა, მაგრამ თანამდებობებზე ძირითადად „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები და ახალ პოლიტიკურ გუნდთან დაახლოებული ადამიანები აღმოჩნდნენ...

— გადაწყვეტილება, რომ საჯარო მოხელეებმა უნდა გაიარონ ატესტაცია, თავისთავად სწორი და მართებულია. ზოგადად, ჩვენი უბედურება ის არის, რომ ატესტაციებს მმართველი პოლიტიკური ძალა ყოველთვის თავისი მხარდამჭერების დასასაქმებლად იყენებდა. მეტიც, მმართველი გუნდი აღმასრულებელ ვერტიკალს თავისი ხალხით აკომპლექტებდა. ამის გამო მუდმივად იქმნებოდა პრობლემა, ვინაიდან ვიღებდით პრაქტიკულად მმართველობის ერთპარტიულ სისტემას, სადაც ყველა დონეზე სახელისუფლო ბიუროკრატიის აბსოლუტური უმრავლესობა ერთ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენდა. როცა ხდება პოლიტიკური ორგანიზაციის სახელმწიფოსთან შერწყმა, ნებისმიერ შემთხვევაში ვიღებთ მმართველობის დამახინჯებულ ერთპარტიულ სისტემას, ანუ, გვინდა თუ არ გვინდა, ვბრუნდებით იმ წყეულ საბჭოეთში, რომელშიც ვიყავით და, რომლიდანაც თავის დაღწევას ვცდილობთ.

ხელისუფლება და საზოგადოება დგანან ასეთი სახის პრობლემის წინაშე — ერთი მხრივ აუცილებელია საჯარო მოხელეთა ატესტაცია, მეორე მხრივ, რეალურად არის ის პრობლემა, რომელზეც ვისაუბრე. თუ ხელისუფლება და საზოგადოება საჯარო მოხელეთა შერჩევაში აქამდე არსებულ პრაქტიკას თავს ვერ დავაღწევთ, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია, მივიღებთ ახალ რევოლუციას. ვინაიდან, ასეთი სისტემა, როგორც წესი, არ მუშაობს და იგი, ვერც ერთ შემთხვევაში, დემოკრატიული სისტემა ვერ იქნება. მივიღებთ იმავე სისტემას, რაც იყო „ნაციონალების“ დროს, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, იგივე გაკეთდა გამსახურდიას დროს და ასეთივე მმართველობა იყო კომუნისტების დროსაც. საქართველოში არასდროს არ მომხდარა, რომ გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას თავისი ხალხით არ დაეკომპლექტებინოს აღმასრულებელი ვერტიკალი. ატესტაციის სერიოზული ხარვეზებით ჩატარების შემთხვევაში ისეთივე მართვის სისტემას მივიღებთ, რაც ადრე იყო; მისგან თავის დაღწევა წარმოუდგენელი იქნება და დავბრუნდებით იმ სიტუაციაში, რაც ქვეყანაში 2012 წლის 1 ოქტომბრამდე არსებობდა.

დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ფორმით ჩატარდება ასტესტაცია, როგორ შეირჩევა სატესტაციო კომისია. ჩემი აზრით, სახელმწიფო მოხელეების შერჩევა ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთული აქილევსის ქუსლია. თუ ჩვენ ამას ვერ დავძლევთ, ყოველთვის ამ წრეში ვიტრიალებთ, რომელშიც აქამდე ვიყავით. ატესტაცია უნდა ჩატარდეს ძალიან ყურადღებით და ობიექტურად.

— ცუდი არ იქნებოდა, თუ ატასტაციას არა მხოლოდ თვითმმართველ ორგანოებში დასაქმებულები, არამედ ყველა საჯარო მოხელე გაივლიდა. საერთოდ, ხომ არ არის დრო, საჯარო სამსახურში დასაქმებულებისადმი პოლიტიკა სერიოზულად გადაისედოს. კვალიფიციური, მაღალკვალიფიციური კადრები უწყებებში არ უნდა იყვნენ დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დასრულდება ესა თუ ის არჩევნები, საჯარო სამსახურში ამა თუ იმ პიროვნების ყოფნა ახალი მინისტრის გუნება-განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული...

— თუ პრობლემის კიდევ უფრო დაკონკრეტებაზეა საუბარი, შემიძლია ასეთი რამ ვთქვა — ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური თანამდებობები. ეს ადამიანების ის კატეგორიაა, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მოსვლასთან ერთად იცვლებიან. მკაცრად უნდა განისაზღვროს, თუ რომელი თანამდებობა ითვლება პოლიტიკურ თანამდებობად. მეორე საკითხია საჯარო მოხელეების შერჩევა. ჩემი აზრით, აქ ძალიან მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ის კრიტერიუმები, რითაც ხდება შერჩევა. ეს საკითხი საკმაოდ რთული თემაა და ცალკე განხილვას ექვემდებარება.

ჩემი აზრით, ატესტაციები უნდა გაიაროს ყველამ და ეს 2-3 წლის ინტერვალში უნდა ტარდებოდეს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში პრივილეგია უნდა ეძლეოდეს იმ ადამიანს, ვინც უკვე მუშაობს და არა სამუშაოს მაძიებელს. ალბათ, კიდევ ბევრი სხვა მექანიზმია მოსაფიქრებელი, მაგრამ ფაქტია, რომ ატესტაციის დროს ბევრი ასეთი მომენტი დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

და კიდევ, ჩემი აზრით, საატესტაციო სამსახური უნდა მუშაობდეს გამუდმებით. მხედველობაში მაქვს ის, რომ პერიოდულად უნდა ტარდებოდეს კონკურსები არა იმათთვის, ვინც ახლა იწყებს მუშაობას, არამედ იმათთვის, ვისაც აქვს სურვილი, საჯარო სამსახურში ხვალ, ზეგ დაიწყოს მუშაობა.

უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა იმ ადამიანებისა, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ პოზიციაზე მიიწვევენ სამუშაოდ. თუ ამა თუ იმ უწყებაში ადგილი გათავისუფლდება, სამუშაო ადგილი დაიკავოს არა ნაუცბათევად ჩატარებული კონკურსის შედეგად საუკეთესოდ გამოვლენილმა პირმა, არამედ ადამიანმა, რომელსაც ატესტაცია გავლილი აქვს. ამგვარ ბაზაზე მუშაობით სახელმწიფო კვალიფიციურ კადრებზე ზრუნვასაც დააფიქსირებდა. ქვეყანაში ამგვარი მექანიზმის არსებობა გამორიცხავდა არა მარტო პოლიტიკური ნიშნით, არამედ ნაცნობ-მეგობრობით კადრების შერჩევის პრაქტიკას. მთავარია, რომ ეს მექანიზმი პრაქტიკულად გამორიცხავდა მმართველი რგოლების ერთპარტიულობას, რაც საჯარო სამსახურისთვის დამანგრეველია.

— სამწუხაროდ, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ჩვენმა საჯარო მოხელეებმა საზოგადოებას თავი საკმაოდ მაღალი პრემიების გამოწერით დაამახსოვრეს, რის გამოც საზოგადოებაში ამ თემაზე საუბარი არ ცხრება. ექსპრემიერმა ივანიშვილმა ამ თემასთან დაკავშირებით გამოხატა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ჩვენს საჯარო მოხელეებზე პრემიების სახით 140 მილიონ ლარზე მეტი გაიცა. საოცარი ისაა, რომ ეს ინფორმაცია ხელისუფლებამ, როგორც იტყვიან, „გაატარა“ და არც კი უარყო. კარგია, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა დაანონსა, მაგრამ თქვენ რას მიაწერდით, ანდაც რა ახსნას მოუძებნიდით მაღალჩინოსნების მხრიდან პრემიებისადმი ასეთ დამოკიდებულებას? ეს ძველი ინერციაა, თუ, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად ბიუჯეტის ხარჯვისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება?

— ამ თემაზე მეც მოვისმინე ივანიშვილის კომენტარი და სრულად ვიზიარებ. როდესაც ამ ქვეყანაში ცხოვრობ, ვინც უნდა იყო, ჩინოვნიკი თუ უბრალო მოქალაქე, სინდისნამუსი უნდა გქონდეს, რომ საკუთარი მადა იმის მიხედვით არეგულირო, თუ როგორ ცხოვრობს შენი ხალხი და საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა.

სამწუხაროდ, ისე აღმოჩნდა, რომ პრემირებული ჩინოვნიკები არა თუ ვერ იაზრებენ, რაზეა საუბარი, არამედ საერთოდ არ აინტერესებთ ეს თემა. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. გასაგებია, რომ პრემირების არსებული სისტემა ახალ ხელისუფლებას არ დაუნერგია და წინა ხელისუფლების დანერგილია. სამწუხაროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ დღემდე ვერ გაარკვია, თუ როგორი იყო „ნაცმოძრაობის“ ანატომია და მათი მმართველობის 9-წლიანი პერიოდი. ცუდია, რომ ამით არც ხელისუფლება დაინტერესებულა და პრემიებთან დაკავშირებით მოხდა იმ პრაქტიკის გაგრძელება, რაც მანამდე იყო. ამ სისტემის მოწესრიგება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ ამ მიმართულებით არ უნდა ვიმოძრაოთ.

იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც მომხრე არიან, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ჰქონდეთ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ განუსაზღვრელი ანაზღაურება ჰქონდეთ. რაც ცხადი გახდა ამ პრემიის შედეგად, განსაკუთრებით საშუალო რგოლის ჩინოვნიკებთან დაკავშირებით, ამ სფეროში კატასტროფულ ვითარებაზე მიანიშნებს. ამგვარ ფაქტებზე ხელისუფლებას დროულად უნდა მიეცა რეაქცია და უნდა ყოფილიყო მკაფიო მესიჯის შემცველი. საუბარი იმაზე, რომ პრემირების სისტემა შეიცვალა და ახლა სხვა სისტემით ვმუშაობთ, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი. ამ თემაზე მკვეთრი რეაქცია უნდა ჰქონოდა არა ყოფილ პრემიერს, არამედ მოქმედ პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრეზიდენტს.

ჩემთვის, ისევე როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, შოკისმომგვრელი იყო იმის გაგება, რომ ვიღაც ჩინოვნიკი თვეში ხელფასისა თუ პრემიის სახით იმდენს იღებს, რამდენიც შეიძლება ჰქონდეს საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანს 5 წლის განმავლობაში. ამას სჭირდება არა მხოლოდ კანონით მოწესრიგება, არამედ სჭირდება ხელისუფლების პირველი პირებისაგან პოზიციის მკვეთრად დაფიქსირება. ექსპრემიერის განცხადებას თუ არ ჩავთვლით, ამგვარი რამ არავისგან არ მომისმენია. პირიქით, განმარტებები კი მოვისმინე, რომ ისინი მუშაობენ და ეს მათი შრომის ანაზღაურებაა. ჩემი აზრით, ამ თემაზე ამგვარი განმარტების გაკეთება სხვა არაფერია, თუ არა უსინდისობა.

— დაკითხვაზე გიგი უგულავას მორიგმა დაბარებამ და პროკურატურის მხრიდან მისთვის გირაოს შეფარდების მოთხოვნას დიდი ხმაური მოჰყვა. მომხდარს „ნაცმოძრაობა“ კვლავ პოლიტიკურ დევნად აფასებს. პოლიტიკური ნიშნით ყოველგვარი დევნა მიუღებელია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი საზოგადოება უნდა მიეჩვიოს იმას, რომ მაღალჩინოსანმა თუ დანაშაული ჩაიდინა, პასუხიც უნდა აგოს. თუ ამ მიმართულებით არ ვიმოძრავეთ, ნებისმიერ ჩინოვნიკს ექნება დანაშაულის ცდუნება...

— ამ თვალსაზრისით, საინტერესო იყო 1 ივლისის საინფორმაციო გამოშვებები. საინფორმაციოები იწყებოდა იმით, რომ გიგი უგულავა ასეთი პრობლემის წინაშე დგას. შემდეგ იყო „ნაციონალების“ კომენტარები. იმავე გამოშვების მეორე ნაწილში იყო ინფორმაცია, რომ საფრანგეთის ექსპრეზიდენტს ემუქრება პატიმრობა.

როდესაც, ვიღაც სვამს კითხვას — რა გვინდა ევროპაში? უნდა ვუთხრათ, რომ ევროპაში, უფლებამოსილების გადამეტებასა და თანამდებობრივი გადაცდომისთვის ექსპრეზიდენტს აპატიმრებენ, იქ ეს არც არავის უკვირს და არც იმას ამტკიცებს, რომ მასზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება და ჩვენც, ასეთი ქვეყნის აშენება გვინდა.

„ნაციონალები“ ამტკიცებენ, რომ უგულავა კანონის შესაბამისად მოქმედებდა, მაგრამ იმას კი არ ამბობენ, რომ კანონია თავად თაღლითური. რეალურად, ყველამ იცის, თუ როგორ თეთრდებოდა და კეთდებოდა ფული თბილისის მერიაში. ზემოთ „ნაციონალების“ მართვის ანატომიის თემას შევეხე. ხელისუფლებას რომ მათი მართვის ანატომია ჯერ თავად გაეგო, ხოლო შემდეგ აეხსნა ჩვენი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ეს საუბრებიც არ იქნებოდა. ასე ჩვენ წინ ნამდვილად ვერ წავალთ. მე იმ ადამიანებს შორის ვიყავი, ვინც აცხადებდა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ წარსული უნდა დახუროს. ანუ, არ ვიყავი მომხრე რომ „ნაციონალების“ წინააღმდეგ დაწყებული იყო ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა. მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ — თუ დავიწყეთ, მაშინ ბოლომდე უნდა გავიდეთ, მაგრამ თუ არ გავალთ, იქნება პრობლემა.

სხვათა შორის, პრემიების თემაც, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, იმის გამოძახილია, რომ ხელისუფლებამ „ნაცმოძრაობას“ თავის ადგილი ვერ მიუჩინა და არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა. ადამიანებმა ნახეს, რომ ხელისუფლებას არავინ არ დაუსჯია, მათ შორის — პრემიების გაცემისთვის. სათავისოდ მოიძებნა „კანონიერი“ გზა პრემიების გამოსაწერად. ეს უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე ჩინოვნიკის მიერ მიღებული ბიუჯეტის სახსრები. ამიტომაცაა, რომ ვართ ამ მოცემულობაში — თუ უგულავა დაიბარეს პროკურატურაში, პოლიტიკური დევნაა, ხოლო თუ სარკოზი დაიჭირეს, ეს პოლიტიკური დევნა არაა.

იხ. 4 გვ.

◎ ალიანჩალიანი

საინტერესოა, რა ინფორმაციას მოგვაწვდიან ბაქოდან

საძართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზერბაიჯანიდან ბაქოს აეროპორტში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმაცია ჯერ არ მისვლია. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

— ჩვენ აზერბაიჯანულ მხარეს გადავეცით ნოტა, რომელშიც ვთხოვეთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რა მოხდა. ჩვენ, ჯერჯერობით, პასუხი არ მიგვიღია. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თავად აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ეს ფაქტი არანაირად არ ეხება, უნდა მოიძიოს შესაბამის უწყებებში ინფორმაცია და ეს, შესაძლოა, გარკვეულ პერიოდს მოითხოვდეს, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

რამდენიმე დღის წინ, „ნაციონალური მოძრაობის„ წევრებს ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს ბაქოში პრობლემები შეექმნათ. ისინი ადგილობრივმა მებაჟეებმა გააჩერეს და გაჩხრიკეს.

ინტერპრესი

◎ პოლემიკა

„პამპულები შეიკაზმენ“

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 27 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ილია ბეგიაშვილისა და ზაურ კალანდიას წერილი „ამბიციური უვიცობა თუ საბედისწერო შეცდომა“, რომლის ადრესატია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი. ილია ბეგიაშვილი დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტია, ხოლო ზაურ კალანდია – არც მეტი, არც ნაკლები – მისი მოადგილე, ანუ ვიცე-პრეზიდენტი. წერილი ეძღვნება დემოგრაფიული პრობლემების მათეულ ხედვას, თუკი ამას ხედვა ჰქვია, და ძირითადად ჩემს ლანძღვას.

აღნიშნულ წერილზე პასუხი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მივიტანე, მაგრამ იგი ისე დაჩეხეს, რომ მის დაბეჭდვას აზრი აღარ ჰქონდა. ისე გამოდიოდა, თითქოს პამპულა მხოლოდ ი.ბეგიაშვილი იყო, ხოლო მეორე პამპულაზე – ზაურ კალანდიაზე ერთი სიტყვაც აღარ დამიტოვეს სათქმელად.

სანამ მთავარ სათქმელს ვიტყოდე, უნდა აღვნიშნო, რომ ბეგიაშვილმა დემოგრაფიული საზოგადოება 1980-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში დააარსა. ამ გარემოებამ მას ხელი შეუწყო, საკმაო სახსრები ეშოვა უმეტესად სხვადასხვა ორგანიზაციისა და საწარმოს დაშანტაჟების გზით. სამწუხაროდ, მას სრულიად არ აღმოაჩნდა ორგანიზატორული ნიჭი და უნიათობის გამო მთელი ქონება დაკარგა – ოფისიც, სხვა შენობებიც, მაღაზიებიც და ა.შ. საზოგადოების პრეზიდენტებად, ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, ჩვენი საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეებს მისი წინადადებით „ირჩევდნენ“, მაგრამ ისინი მალე ტოვებდნენ თანამდებობას, რადგან ბეგიაშვილის ჯიუტი ხასიათის გამო (ცნობილია, რომ ყველა ბრიყვი ჯიუტია და ყველა ჯიუტი ბრიყვია) მასთან მუშაობა შეუძლებელი იყო. დემოგრაფიული საზოგადოება მან 2002 წელს განაახლა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბეგიაშვილი საკმაოდ ვარჯიშობდა ღვინის სმაში (ცნობილია, სიმთვრალე სიგიჟისთვის ვარჯიშია) და საბოლოოდ გამოუსწორებელ ალკოჰოლიკად ჩამოყალიბდა. მას დაეწყო განდიდების მანია. იგი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემები მხოლოდ მასთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს და მიმართავს პრემიერ-მინისტრს, თუ თქვენი თანადგომა იქნება 3-4 თვეში დემოგრაფიული საზოგადოება წარმოადგენს სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკისათვის სრულიად მისაღებ სწორ მექანიზმსო, მაგრამ, აბა, რისი წარმომდგენია, როდესაც თითქმის 30 წელიწადია, სრულიად არაფერი გაუკეთებია ამ სფეროში. საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილ პირებში (ამჟამად ასეთი 17 პირია) არც ერთი დემოგრაფი არ შეუყვანია და იმასაც კი ვერ განმარტავს, რას შეისწავლის დემოგრაფია, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის კვლავწარმოების საკითხებზე და სხვ. სამაგიეროდ, იგი აღნიშნავს, რომ დემოგრაფიულ პრობლემებზე „ჩვენი შეხედულება სრულიად გაიზიარეს არა მარტო ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, საერთოდ, ინტელიგეციის წარმომადგენლებმა, არამედ სხვა ქვეყნების და ერების წარმომადგენლებმა“. ამ დროს მისი (მათი) შეხედულება, თუკი აქვს საერთოდ შეხედულება, არა თუ სხვა ქვეყნებისა თუ ერების წარმომადგენლებმა, არამედ არც ერთმა დემოგრაფმა არ იცის და, ამდენად, მათ ვერც გაიზიარებდნენ. ან ისიც საკითხავია, უცხოეთის ქვეყნებს რაში სჭირდებათ ბეგიაშვილის ნაბოდვარის გაზიარება. უცხოეთში, რა, დაილიენ დემოგრაფები? იგი ვერ ინელებს იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სულ რაღაც წელიწადნახევარში – საკმაოდ ბევრი ღონისძიება განახორციელა ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის: **მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებათ სასკოლო სახელმძღვანელოები, უფასო გახდა ბაგა-ბაღები, უფასო გახდა მშობიარობა, გაიზარდა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა და ანაზღაურება, და, რაც მთავარია, იმ რეგიონებში, სადაც დაწყებულია მოსახლეობის ბუნებრივი კლება, ყოველი მესამე და მომდევნო შვილის დაბადებისას ოჯახი ყოველთვიურად ბარში 150 ლარს, ხოლო მთაში 200 ლარს იღებს.** ასეთი რეგიონებია: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი და გურია. ჩამონათვალში ვერ მოხვდა მოსახლეობის შედარებით მაღალი ბუნებრივი მატების მქონე რეგიონები: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, თბილისი და შიდა ქართლი. როგორც ჩანს, ბახუსის ზედმეტ სიყვარულს უკვალოდ არ ჩაუვლია და ბეგიაშვილი ცდილობს, ურცხვად მოატყუოს საზოგადოება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების დიდი ნაწილი გადანაწილდება მაღალი შობადობის რეგიონებსა და რაიონებში და სრულიად ნათელია, რომ ასეთი პოლიტიკა ქართველი ერის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს და კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც კატასტროფულ მდგომარეობას“. საერთოდ, ასეთი როყიო ლაპარაკი, მით უმეტეს პრესაში და ისიც ასეთ ფაქიზ პრობლემაზე, არ არის მიზანშეწონილი. ბეგიაშვილისნაირები, მართალია, პატარა ზომის, მაგრამ მაინც ყვარყვარეები არიან, რომლებიც არანაკლებ ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ბეგიაშვილი უშუალოდ ჩემს განქიქებას შეუდგა: **„მთავრობა ან შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში, ან და ეს ამბიციური უვიცობა პირდაპირ არის ინსპირირებული ბატონ ანზორ თოთაძის მხრიდან, რასაც მიანიშნებს მისი მომრავლებული პუბლიკაციები პრესაში, (ამასაც დანაშაულად მითვლის-ბ. თ.)... თვით განდიდების მანიით შეპყრობილმა ანზორ თოთაძემ... დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერების უგულებელყოფით მთავრობას მიაწოდა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების შემუშავებული ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი მექანიზმის სრულიად დამახინჯებული ვარიანტი და ხელი ბიუჯეტისაკენ გაიშვირა.“** ეს ჩვენი მწუხარე სახის რაინდი ამ აბდაუბდა ნაწერში უნდა გულისხმობდეს მესამე შვილის დაბადებისას ოჯახის მატერიალურ წახალისებას, რაც არც ჩემი და, მით უმეტეს არ მისი იდეა არ არის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, შობადობის შემცირების გამო ევროპის ქვეყნებმა ძირითადად მესამე ბავშვის დაბადებისას ოჯახების მატერიალური წახალისება დაიწყეს. რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამო განაცხადა: ჩვენ ვატარებთ რეგიონულ-დემოგრაფიულ პოლიტიკას და სამბავშვიანი ოჯახი რუსეთში უნდა გახდეს ნორმაო.

ბეგიაშვილს ბევრი სხვა არასწორი აზრიც აწუხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ნამდვილად არ მივიჩნევდი პასუხის ღირსად, წერილს ზაურ კალანდიაც რომ არ აწერდეს ხელს. როგორც ჩანს, ბეგიაშვილის მოადგილეობა – საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, კალანდიასთვის ევას ვაშლივით მაცდური აღმოჩნდა. **კალანდიას ვიცნობდი როგორც წესიერ, თავმდაბალ, ზნეობრივად სრულყოფილ და ზრდილობიან ადამიანს, ნიჭიერ მწერალს, მაგრამ ამ ქვეყანას რას გაუგებ, „მტრისას მისი გამოცანა“. ეს ყველაფერი მისი გარეგნული სახეა, შინაგანად კი, თურმე, ზუსტად მიესადაგება ერთი ქართული გამოთქმა: „ზრდილობა მოითხოვს, თორემ ეფროსინე ფეხებზე მკიდიაო“.**

ზაურ კალანდიას ტელეფონით დავუკავშირდი და ვკითხე: რა დაგიშავე, ჩემთან რა გინდოდა, მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია, ან როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ, სიკეთე არ გამიკეთებია, ასე უშვერად რომ გამლანძღე-მეთქი. მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: როგორ გეკადრებათ, ბატონო ანზორ, მე თქვენ არასოდეს გამილანძღიხართო. როდესაც წერილიდან შესაბამისი ადგილები წავუკითხე, მან მიპასუხა: **ხელი კი მოვაწერე, მაგრამ წერილი არ წამიკითხავს – ბეგიაშვილს ვენდეო.** მართალია, ეს სხვისი და ისიც ბეგიაშვილის ნასუფრალით კვებაა, მაგრამ ამას კიდევ აიტანს კაცი. სხვა რაღა დამრჩენოდა და კალანდიას ვუთხარი: გაზეთში გაეკეთებინა მოკლე ახსნა-განმარტება და მეც ამოწურულად ჩავთვლიდი ამ საკითხს, რაზედაც ის დამეთანხმა.

მეორე დღეს, ყოველი შემთხვევისთვის, ისევ დავურეკე ზაურ კალანდიას, მაგრამ ამჯერად მას პატივმოყვარეობამ სძლია და უარი განაცხადა ასეთი პაწია განმარტების გაკეთებაზე, რაც კაცობაში არ ეტევა. თუ გოეთეს სიტყვებს მოვიშველიებთ, ზაურ კალანდიამ ვერ გამოამჟღავნა „ზნეობრიობის ძირითადი საფუძველი: კეთილი ნება“ და ამდენად, იგი უფრო დიდი პამპულა გამოდგა ვიდრე ბეგიაშვილი.

ანზორ თოთაძე

◎ ევროინტეგრაციის შანსი

ხელისუფლებამ არა საკუთარ თავზე, არამედ ქვეყანასა და ხალხზე უნდა იფიქროს

(მესამე გვერდიდან)

– არ წყდება საუბრები და კამათი მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით მორატორიუმის მოხსნის თემაზე. გასაგებია, რომ ცივილიზებულ ევროპაში ამ საკითხში, ისევე როგორც ბევრ საკითხში, ლიბერალური მიდგომები დომინირებს, მაგრამ გაუგებარია, თუ რატომ ხდება საფრთხეების გაუთვალისწინებლად მიწების, წყლების, საბადოების გასხვისებაზე ჩვენი მხრიდან აქტიური ნაბიჯების გადადგმა. გავრცელებული ინფორმაციით, ახლა საპრივატიზაციოდ გამოტანილია 172 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. 1 ჰექტარის საშუალო ღირებულება 625 ლარია. ძალიან იაფად ხომ არ ყიდის ქვეყანა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სხვა განზომილებების თვალსაზრისით ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსს?

– ჩემი აზრით, ვერ ვითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო არ არის ერთჯერადი რეფორმისა თუ ნახევრადრეფორმის სუბიექტი. როდესაც ბოლომდე სწორად არ მიიღეს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ვგულისხმობ იმას, რომ ჯერჯერობით განუსაზღვრელი დარჩა, რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრება, ანუ, მის გამგებლობაში არ არის მიწა და ეს პროცესი გაჭიანურდა 2016 წლამდე. მივიღეთ ის, რაც თქვენ ბრძანეთ, ანუ 172 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის საპრივატიზაციოდ სასწრაფოდ გამოტანა. ვინ აკეთებს ამას? – ეკონომიკის სამინისტრო. თუ რატომ აკეთებს, აქ მართლაც ჩნდება კითხვის ნიშნები. რამეს მოსწრება გვინდა? 1 ჰექტრის საფასურად 625 ლარის განსაზღვრა უბრალოდ გაუგებარია. ეს ხომ ძალიან პატარა თანხაა.

ეტყობა, ჩვენი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ რა ხდება მსოფლიოში. იმას, თუ რა პრობლემები გველოდევა ჩვენ და ზოგადად კაცობრიობას 5-10-15 წლის შემდეგ. განა ეს ისეთი პრობლემაა, რომ ვინმეს ახსნა სჭირდება? რა, ეკონომიკის სამინისტროში არ იციან, რომ ადამიანთა რაოდენობა მსოფლიოში იზრდება? რომ მიწების რაოდენობა სხვადასხვა ეროზიების გამო მცირდება? თუ ეკონომიკის მინისტრს და მთავრობას ამის ახსნა სჭირდება, კარგად გვქონია საქმე.

გარდა ამისა, საუბარია ენერგეტიკაზე. არ შეიძლება ჩვენ გავყიდოთ ჰიდრორესურსები. ჰიდრორესურსები უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში. უნდა ავაშენოთ ხუდონჰესი? კი ბატონო, მაგრამ გავაკეთოდ ისე, რომ მისი მშენებლობა განხორციელდეს ბიუჯეტიდან. მოსახლეობა ამას ძალიან კარგად გაიგებს. შეიძლება ათასი სხვა ფორმის მოფიქრება, მაგრამ ეს იქნება ხალხის, სახელმწიფოს და ქვეყნის საკუთრება და არ იქნება ვინმეს გამდიდრების საშუალება. აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში კონსტიტუციითაა აკრძალული წყლის გაყიდვა. ჩვენ რას ვაკეთებთ – ყველაფერს ვასხვისებთ? რატომ და მერე რის გაკეთებას ვაპირებთ?

იმავე დასავლეთში ისე არ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლია ჩახვიდე და იოლად იყიდო სახნავ-სათესი მიწა. ყველა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომაა. ყველა ქვეყანა ამ საკითხს თავისი ეროვნული ინტერესებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებიდან გამომდინარე უდგება. დავიჯერო, ერთი ჩვენ ვართ ვისაც ეროვნული ინტერესები არ გაგვაჩნია? დაგვავიწყდა, რომ ცოცხლები ვართ, ქვეყანამ მომავალშიც უნდა იარსებოს, თუ რაღაც სხვა უბედურება გვჭირს?

– ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდა და ყველა აღნიშნავს, რომ ქვეყანამ ისტორიული შანსი უნდა გამოიყენოს. თქვენი აზრით, ხელშეკრულების შემდეგ ხელისუფლების ყველაზე მთავარი ამოცანა რა შეიძლება იყოს ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე?

– ბოლო 20 წელზე მეტია, ჩვენ ყველა პრობლემაზე საუბრისას ხელს გარეთ, ჩრდილოეთისკენ ვიშვერთ. ჩრდილოეთი ყოველთვის იყო პრობლემა და ახლაც პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ძალიან იშვიათად ვითხოვთ რამეს საკუთარი ხელისუფლებისგან.

რა თქმა უნდა, ასოციირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია ძალიან რთული იქნება. ეს მარტივი არ იქნება. ჩვენ სხვა სოციალიურ და პოლიტიკურ გარემოში ვცხოვრობთ და ახლა თვისობრივად სხვა სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში უნდა გადავიდეთ. უნდა შეიცვალოს ერთმანეთის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება, ასევე დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ, სახელმწიფოს მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან ყველას მიმართ. ეს არც ისე პრობლემურია თუ ხელისუფლება ამას გამოიყენებს ევროპაში შესასვლელად და არა ბიზნესის საკეთებლად. თუ აქ, დასავლეთთან მიმართებაში ისეთი დინებები იქნა, რომელთაც აქამდე ყველა ხელისუფალი იყენებდა, პრობლემები აუცილებლად გაჩნდება. ჩვენი ამბავი რომ ვიცი, ისევ რუსეთისკენ გავიშვერთ ხელს. რუსეთს არაფრის დაბრალება არ სჭირდება, ისედაც უბედურებაა.

ახლა მთავარია, ჩვენ როგორ ვიმოქმედებთ მოცემულ ვითარებაში. თუ ხელისუფლებამ ყველაფერი სწორად გაკეთა, პრობლემები ამ გზაზე იქნება, მაგრამ არც ერთი მათგანი გადაულახავი პრობლემა არ იქნება. ქვეყანამ რომ ევროინტეგრაციის ისტორიული შანსი გამოიყენოს, ხელისუფლებამ უნდა იფიქროს არა საკუთარ თავზე, არამედ ქვეყანასა და ხალხზე.

კობა გენდელიანი

„ვამაყობ, რომ უსამართლოდ გაშვებული რამდენიმე პროფესორი დაბრუნდა უნივერსიტეტში“

ნომრის სტუმარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა

— ბატონო ლადო, თქვენი მისამართით საკმაოდ სერიოზული ბრალდებები ქვეყნდება პრესაში — პაპავას გადადგომა ყველაზე კარგი გამოსავალია, რადგან მას არ შეუძლია უნივერსიტეტის მართვა და გადარჩენაო. ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით?

— ნამდვილად არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ. როცა, რექტორობაზე კენჭისყრა გადავწყვიტე, ვიცოდი, რომ ჩემს არჩევანს სხვადასხვა შეფასება მოჰყვებოდა. გააზრებული მქონდა, რაოდენ პასუხსაგებია ეს თანამდებობა და მსგავსი დაპირისპირებისთვის მზად ვარ. ვიცი, თუ რა ვალდებულებები მაქვს აღებული, რა პასუხისმგებლობა მაკისრია, და რა მაქვს გასაკეთებელი.

მეორეც, არიან ადამიანები, რომელთა ნათქვამს ყურადღება არ უნდა მიაქციო. მიმაჩნია, რომ თუ ჩემ ქმედებებს საზოგადოების რაღაც ნაწილი ისე ვერ აღიქვამს, როგორც საჭიროა, მაშინ შესაძლოა, მე მაქვს დასახვეწი საზოგადოებასთან ურთიერთობის სტილი.

— როცა ქვეყანაში ეპოქალური ცვლილებები მოხდა, უნივერსიტეტს არაფერი დასტყობიაო. დარჩა იგივე ფაკულტეტები, იგივე დეკანები, იგივე ადმინისტრაცია, თანაშემწეებიც კი...

— ამჟამად უნივერსიტეტში იქმნება მეშვიდე — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ამ მიზნით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოფა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს — განათლების საგანმანთლებლო მიმართულება. გასათვალისწინებელია, რომ ახალი ფაკულტეტის შექმნა არ არის ერთჯერადი აქტი, ეს პროცესია.

რაც შეეხება დეკანების საკითხს, უნდა ითქვას, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად ვადებით გარანტირებულია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული არჩევითი თანამდებობები. ერთ საინტერესო მომენტზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება: 2013 წლიდან, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტები საჯარო სამართლის იურიდიული პირები გახდნენ, ანუ მას შემდეგ, რაც მე რექტორად ამირჩიეს, რექტორს დეკანის არჩევნებთან შეხება არა აქვს. კანონით, ფაკულტეტის მიერ არჩეულ დეკანთან ისე აფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტი, რექტორის ბრძანება უკვე საჭირო არ არის.

— როგორც ამბობენ, თქვენს რექტორობამდე კონკურსები მთელი რიგი დარღვევებით ტარდებოდა და ეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც აღიარესო. თქვენ რას იტყვით ამაზე?

— მე ნამდვილად არ გავაკეთებ იმას, რასაც სხვას ვუწუნებდი. არ ვაპირებ არც კანონის დარღვევას და არც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. უნივერსიტეტი უნდა დამშვიდდეს! ის უნდა იქცეს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად და არა ქიშპობის ბუდედ. ჩემი მიზანია კონსტრუქციული თანამშრომლობა ყველასთან, ვინც ამას ვერ შეძლებს, დავემშვიდობებით.

— თქვენც არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ უნივერსიტეტი პოლიტიზებული იყო. ადამიანური რესურსი თუკი იგივე დარჩა, მაშინ რა შეიცვლებოდა ამ კუთხით?

— მითხარით, რაში გამოიხატება დღეს უნივერსიტეტის პოლიტიზაცია? მაგალითად, მაისში ჩავატარეთ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. ვინმეს გაგიგიათ, რაიმე ხმაური იყო? პირველად ჩატარდა მშვიდად ეს არჩევნები, იმიტომ, რომ პოლიტიზაცია მოიხსნა. ადრე ხმაურით იმიტომ გამოირჩეოდა, რომ სტუდენტების უკან იდგა სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. საერთოდ არ ჩავრეულვარ ამ არჩევნებში, ჩატარდა მშვიდად, რაც, როგორც ჩანს, ვიღაცვიღაცებს არ მოსწონს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში განსხვავებული აზრი არ არსებობს. ღმერთმა დამიფაროს, მე არავის არ ვზღუდავ!

— ჩვენი საუბრის მიუხედავად, მაინც მინდა გკითხოთ: არსებული კანონმდებლობით შეგეძლოთ თუ არა ჩაგეტარებინათ რეორგანიზაცია, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა კონკურსები?

— არც ერთ კანონში ეს არ წერია. ასეთი კრიტიკა აბსოლუტურად არასერიოზულია. როცა უნივერსიტეტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კანონში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ ყველა, ვისაც უკავია აკადემიური თანამდებობა, კონკურსის ვადის გასვლამდე ხელშეუხებელია.

ძირითადი კონკურსები უნივერსიტეტში მოსალოდნელია 2017-18 წლებში იმისდა მიხედვით, ვინ როდის არის არჩეული 6 წლის ვადით, 4 წლის ვადით.

— გასაგებია. არ ვეხებით უნივერსიტეტის ადამიანურ რესურს, მაგრამ იგეგმება თუ არა არეული ფაკულტეტების დალაგება, სახელმძღვანელოების შეცვლა და სხვა სახის პრობლემების მოგვარება?

— გეთანხმებით, რომ ბევრი ფაკულტეტი მექანიკურადაა გაერთიანებული, თუმცა, არის გამართლებული ვარიანტიც. მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გაერთიანდა ეკონომიკური პროფილის ოთხი ფაკულტეტის შერწყმით, რაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად სწორი იყო. რაც შეეხება იმ გაერთიანებებს, რომელიც გვაქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე, არაერთი პროფესორი საკმაოდ სამართლიანად აღნიშნავს, რომ აქ გაერთიანება ხშირად მექანიკურად, ძალდატანებით მოხდა. მე მექანიკურ დაშლას არ ვაპირებ. ჩემს საარჩევნო კონცეფციაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, მიწერია ფაკულტეტების დაშლა, მაგრამ გავაკეთო იგივე შეცდომით, მექანიკურად? — რა თქმა უნდა, არა.

— რას ელოდებით?

— უნდა მომწიფდეს საკითხი, ანუ უნდა ჩამოყალიბდეს ყოველმხრივ დასაბუთებული აზრი ახალი ფაკულტეტის შესახებ. და რაც მთავარია, ამისათვის უნდა არსებობდეს ფინანსური რესურსი. უნივერსიტეტს დღეს ამ კუთხით საკმაოდ სერიოზული შეზღუდვა აქვს.

აი, სახელმძღვანელოებზე რომ მკითხეთ, ჩვენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს მიწოდებული ცოდნის დონით არც თუ იშვიათად ჩამოვრჩებით. ჩვენი კურსდამთავრებულები, სამწუხაროდ, ხშირად საერთაშორისო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. როგორ დავძლიოთ ეს ჩამორჩენა? ვაგზავნით სტუდენტებს უცხოეთში, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტში, მაგრამ ყველას ხომ ვერ გავაგზავნით?! ამიტომ, აქაც რომ შეიცვალოს სიტუაცია და მივუახლოვდეთ საერთაშორისო დონეს, იგივე სახელმძღვანელოებით უნდა ვასწავლოთ, რითაც იღებენ განათლებას წამყვანი უცხოური სასწავლებლების სტუდენტები. როგორ? — უნდა ვთარგმნოთ სახელმძღვანელოები. ორიოდე დღის წინათ უკვე შედგა ასეთი პირველი თარგმნილი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია.

— სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება უნივერსიტეტს არ დასტყობიაო. რას გულისხმობენ თქვენი ოპონენტები?

— მინდა, გარკვევით განვაცხადო, რომ უნივერსიტეტს არანაირი დამატებითი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მიუღია. ჩვენ გვაქვს რამდენიმე წყარო დაფინანსებისა. უმთავრესია ფული, რომელიც შემოაქვს სტუდენტს, და ასევე, გარკვეული მიმართულების ფაკულტეტებზე ბიუჯეტიდან დაფინანსებული სტუდენტების ფული, მაგრამ ეს თანხაც უშუალოდ „ებმის“ სტუდენტს (მაგალითად, 2013-2014 წლებში გათვალისწინებული იყო ბიუჯეტიდან 100 სტუდენტის დაფინანსება ფიზიკის მიმართულებით, მაგრამ უნივერსიტეტში ჩაირიცხა 80 ახალგაზრდა და ზუსტად ამდენი სტუდენტის დაფინანსება მივიღეთ); ამას გარდა, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო გრანტში. ფულს, მართალია, უნივერსიტეტი იღებს, მაგრამ ყველას თავისი „პატრონი“ ჰყავს და უნივერსიტეტს არ რჩება ერთი თეთრიც. მოგეხსენებათ, რომ ჩვენთან შემოდიან სამეცნიერო ინსტიტუტები. მათ დასაფინანსებლად საჭირო თანხებს რიცხავენ ჩვენს ბიუჯეტში, მაგრამ ხმარდება ისევ ამ ინსტიტუტებს. მეტიც, ჩვენ საკუთარი მწირი რესურსებით მოვახერხეთ და რამდენიმე სავალალო მდგომარეობაში მყოფი ინსტიტუტი მცირედით მაინც გავარემონტეთ.

ასე რომ, არანაირ სპეციალურ ფინანსურ მხარდაჭერას უნივერსიტეტი არ ღებულობს და არ ვიცი, რაზე არის საუბარი. ისე, ერთი რამე მინდა იცოდეს მკითხველმა. მოგეხსენებათ, ქვეყანაში პოპულარულია პრემიების თემა. რაც რექტორი გავხდი, გავაუქმე რექტორის ხელფასზე დანამატიც და პრემიაც.

— რატომ?

— რას ქვია, რატომ? იმიტომ კი არა, რომ ფული არ მჭირდება, ფული ყველას გვჭირდება. იმიტომ, რომ, ეს სტუდენტის მოტანილი ფულია და გარკვეული ზომიერება უნდა გამოიჩინო. რექტორის სარგო მე არ დამიდგენია, მას განსაზღვრავს კანონი — უნივერსიტეტის პროფესორის მაქსიმალურ ხელფასს დამატებული არა უმეტეს 35 პროცენტისა.

— და, მინდა ასეთი აზრიც მოგაწოდოთ, რასაც ბრალდებად გიყენებენ: მივლინებები, კონფერენციები, მოგზაურობები, აი, ეს არის დღეს რექტორის ფუნქცია.

— შეიძლება ყველაფერი გაამასხარაო, თუმცა, თუკი კანონში ჩაიხედავენ, გარკვევით წერია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში უნივერსიტეტს წარმოადგენს რექტორი. ამიტომ, როდესაც აქ მოდიან სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მოდიან რექტორთან. ჩვენ გვაქვს ძალიან ხშირი მოწვევები უცხოეთის სხვადასხვა სასწავლებლებიდან, რათა გავაფორმოთ შესაბამისი ხელშეკრულებები. რაც რექტორი ვარ, რამდენიმე ასეთ მოწვევაზე წასვლა გავაუქმე რიგი მიზეზების გამო, მაგრამ ყველას გაუქმება შეუძლებელია. თუ კანონში ცვლილება გაჩნდება და საერთაშორისო ურთიერთობებში რექტორი არ იქნება პირველი პირი, მაშინ სხვას მოუწევს ამ ფუნქციის შესრულება.

— ბატონო ლადო, თქვენც კარგად ხვდებით, რომ ოპონენტები, რომელთა ბრალდებებსაც მე დავეყრდენი, არიან ის კონკურსგარეთ დარჩენილი პროფესორები, რომელნიც, თქვენც აღიარეთ, რომ უსამართლოდ დარჩნენ უნივერსიტეტს მიღმა. რას ეტყვით ამ ადამიანებს და ოდესმე შეიძლება თუ არა აღდგეს მათთვის სამართლიანობა?

— მეც ბევრჯერ მისაუბრია იმ უსამართლობაზე, რომელსაც სჩადიოდნენ ვარდების რევოლუციის ტალღაზე მოსული „რეფორმატორები“. ეს ყველაფერი ჩვენი ისტორიაა. ახლა გეკითხებით, რომელ სფეროში დამყარდა სამართლიანობა ჩვენს ქვეყანაში? უნივერსიტეტი ცალკე კუნძული არ არის, ამ ქვეყნის ნაწილია... ამის მიუხედავად, ჩატარდა რამდენიმე კონკურსი უნივერსიტეტში და ზოგიერთი გაშვებული პროფესორი დაბრუნდა, ზოგიერთი კი, სამწუხაროდ, ვერ დაბრუნდა. საკონკურსო კომისიის წევრის მაგივრად რექტორი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. პირიქით, მე ვამაყობ, რომ რამდენიმე პროფესორი დაბრუნდა. დასაქმების სხვა ფორმებსაც ვიყენებთ გაშვებული, ღირსეული პროფესორების დასაბრუნებლად. უკაცრავად, მაგრამ უნივერსიტეტი რეზინის არ არის და, ბუნებრივია, ყველა ვერ დაბრუნდება. მე მზად ვარ დიალოგისთვის. ჩემთვის მისაღებია კრიტიკა, რომელიც იქნება საქმიანი. არ იქნება საქმიანი?! — ამისთვისაც მზად ვარ!

— მადლობა, ვრცელი, მაგრამ საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიანჩალიანი

შეწყალების კომისია დაჩქარებული წესით იმუშავებს

ამის შესახებ შეწყალების კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს, მისთვის ნდობის გამოცხადებისა და შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნისათვის. ქორიძემ ასევე მადლობა გადაუხადა კომისიის ყველა წევრს.

— იმედი მაქვს, ჩვენ ისეთივე ერთობლივი ძალისხმევით გავაგრძელებთ ამ პროცესს, როგორც დავიწყეთ, ეს პროცესი არის შეწყალების კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, ჰუმანურობისა და ტოლერანტობის იდეის ხელშეწყობა, რომელიც იდეაში ჩაიდო 2013 წლის შემდეგ შეწყალების ახალი კომისიის შექმნისას. ბუნებრივია, ბევრი მოლოდინია. ობიექტური მიზეზების გამო, ბოლო ორი თვის განმავლობაში შეწყალების კომისიის მუშაობა შეჩერებული იყო, მაგრამ რამდენადაც საქმეები ბევრი დაგროვდა და შემოსული განცხადებები საკმაო რაოდენობითაა, აუცილებლად ჩვენ, დაჩქარებული წესით მოგვიწევს მუშაობა. ცხელი ზაფხულის დღეებში რამდენიმე სხდომას გავმართავთ, რომ არ დარჩეს უპასუხოდ ყველა ეს განცხადება,— განაცხადა ზვიად ქორიძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პატიმართა შეწყალების კომისიის თავმჯდომარის რანგში გაწეული მუშაობის გამო ალექსანდრე ელისაშვილს მადლობა გადაუხადა და ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

— მინდა, ხაზგასმით მადლობა ვუთხრა ალექსანდრე ელისაშვილს. მან ურთულესი საქმე გასწია. მისი მუშაობა მართლა განსაკუთრებული იყო და შესაფასებელია,—განაცხადა მარგველაშვილმა ბრიფინგზე და დასძინა, რომ ელისაშვილის სახით თბილისის საკრებულომ ძალიან შთამბეჭდავი დეპუტატი შეიძინა. მარგველაშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა ზვიად ქორიძეს, შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობაზე დათანხმების გამო.

ინტერპრესი

სახელგანთქმული ბედუკულმართები

სახელის განთქმა რაღაც დიდი საძმის შესრულებით — უკვე ცნობილი ამბავია. უფრო კრეატიული ვარიანტია — ჩაიდინო ისტორიული მასშტაბის სისაძაგლე. მაგრამ გზა, რომელიც ღირსია სამურაისა, — ესაა ის, რომ გათქვა სრული და დასრულებული სახელი საუკუნეებში, როგორც სრულმა და დასრულებულმა ბედუკულმართმა.

ანტონიო სალიერი

სალიერი გახდა შავი პიარის მსხვერპლი ამ ტერმინის გამოგონებამდე მრავალი წლით ადრე. მსოფლიო მას იცნობს, როგორც კომპოზიტორს, რომელმაც შურისძიების გამო მოწამლა გენიოსი მოცარტი. იურისტებსა და ფსიქიატრებს ტერმინიც კი აქვთ ასეთი — „სალიერის სინდრომი“ — დანაშაული, რომელიც შურის ნიადაგზე მოხდა. ალბათ, ასეთ სახელს ის ამჯობინებდა სრულ დავიწყებას. სინამდვილეში ანტონიო სალიერი იყო ვენაში ოპერის თეატრის დასის დირიჟორი, ვენის კონსერვატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი ნაწარმოებები იდგმებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ოპერის თეატრში.

თანამედროვეები ამტკიცებენ, რომ სალიერი იყო უკეთილშობილესი ადამიანი. როდესაც მისი მასწავლებელი გლიუკი გარდაიცვალა, მან იკისრა მზრუნველობა მის ბავშვებზე. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ის ფსიქიკური მოშლილობით დაავადდა. ერთ-ერთი შეტევის დროს მან განაცხადა კიდეც, რომ მოცარტი მოწამლა. როდესაც გონებაზე მოვიდა და გაიგო თავისი „აღიარების“ შესახებ, ძალიან შეშინდა და დაიწყო ნათქვამის უარყოფა.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

არ უმართლებდა პირად ცხოვრებაში ანდერსენს (1805-1975). მეზღაპრე ქალებს ეპყრობოდა, როგორც რაღაც მიუწვდომელს და გარდაიცვალა უცოდველად. ის ხშირად უნახავთ, როგორ შედიოდა საროსკიპოში — ხვდებოდა მეძავებს, თუმცა, იფარგლებოდა მხოლოდ საუბრებით.

მაღალი, გამხდარი, პატარა თვალებით, უზარმაზარი ცხვირით და გრძელი ხელებით — ასე გამოიყურებოდა ადამიანი, რომელმაც „საზიზღარი იხვის ჭუჭული“ დაწერა. ნაცნობები მას ორანგუტანგს უწოდებდნენ. ანდერსენს უყვარდა ბავშვები, მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ წმინდა ქმნილებებს ესმით მისი. მაგრამ ბავშვებს მეზღაპრის დანახვის დროს ხშირად ეშინოდათ მისი და ტირილს იწყებდნენ. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ანდერსენი თითქმის არ გამოდიოდა სახლიდან, იყო ღრმა დეპრესიაში.

რობერტ სკოტი

ანტარქტიდის ინგლისელ მკვლევარ სკოტს არ ჰქონდა პოლარული გამოცდილება, როდესაც 1901-1904 წლებში გაემგზავრა ექსპედიციაში, როდესაც ედუარდ VII-ს ნახევარკუნძული, ტრანსატლანტიკური მთები აღმოაჩინა და ვიქტორიის მიწა გამოიკვლია. პირველი ექსპედიცია წარმატებული იყო.

როდესაც დაბრუნდა, სკოტმა ინგლისის, ამერიკის, დანიის, შვედეთის გეოგრაფიული საზოგადოებებისგან ოქროს მედლები მიიღო და 1911-1912 წლებში სამხრეთი პოლუსის დასაპყრობად გაემგზავრა. 1912 წლის 18 იანვარს, როდესაც ყინულის ჯავშნის ასობით კილომეტრი გადალახეს, ინგლისელებმა სანუკვარ ოცნებას მიაღწიეს. უკვე მისასვლელთან მათ დაინახეს ჭოკი ნორვეგიული დროშით: მანამდე სამი კვირით ადრე პლანეტის ყველაზე სამხრეთ წერტილში ამუნდსენმა მიასწრო მისვლა.

გაწბილებული სკოტი უკან დაბრუნდა, მაგრამ ყინულის უდაბნოდან ექსპედიციის ვერც ერთი წევრი ვერ დაბრუნდა. რვა თვის შემდეგ მაშველმა ექსპედიციამ მათი სხეულები აღმოაჩინა. სკოტი ვერ მივიდა სურსათ-სანოვაგის საწყობამდე, სადამდეც სულ რაღაც 11 მილი იყო დარჩენილი. სიკვდილისწინა ჩანაწერში „გზავნილი საზოგადოებას“ ის წერს: „კატასტროფის მიზეზები გამოწვეული იყო არა ორგანიზაციის ნაკლოვანებებით, არამედ უიღბლობით იმ სარისკო ღონისძიებებში, რომლებიც ვერ გავბედეთ“.

პიტ ბესტი

მოახერხა გამოფრენილიყო Beatlles-იდან ტრიუმფამდე ნახევარი წლით ადრე. 1960 წელს Beatlles-ის წინაშე დადგა საკითხი დრამერის მოძებნის შესახებ. არჩევანი ბესტზე შეჩერდა, რომელსაც ორი უპირატესობა ჰქონდა — დედიკო (ლივერპულში ერთ-ერთი პოპულარული კლუბის დიასახლისი) და საკუთარი დასარტყმელი მოწყობილობა.

1962 წელს პროდიუსერმა ჯორჯ მარტინმა მოუსმინა ბიჭებს, თუმცა, პიტი მას თვალში არ მოუვიდა. ჯონმა და პოლმა უარი თქვეს პიტზე, ის რინგო სტარით შეცვალეს. ახალი შემადგენლობით ჩაწერილმა სიმღერამ ბრიტანეთის ჰიტ-პარადში მე-17 ადგილი დაიკავა. პიტ ბესტი ამაოდ ცდილობდა, შეექმნა მუსიკალური კარიერა და თავს ინუგეშებდა ხუთწუთიანი დიდებით, როდესაც გასცემდა მრავალრიცხოვან ინტერვიუებს Beatlles-ის ადრეულ წლებზე.

მარადისი ურია (აგასფერი)

ქრისტიანული აპოკრიფების გმირი, მოხეტიალე ებრაელი, რომელიც უფალმა გაწირა მარადიული სიცოცხლისა და ხეტიალისთვის იმის გამო, რომ არ მისცა ქრისტეს შესვენების საშუალება (სხვა ვერსიით — დაარტყა მას) გოლგოთის გზაზე.

ეს აშკარად არ იყო მისი დღე, ვინაიდან მის შემდეგ მარადისი ურია განწირული იყო ხეტიალისთვის ქრისტეს მეორე მოსვლამდე. ყოველთვის, როდესაც ასი წლის ასაკს მიაღწევს, ის ხდება ავად გაურკვეველი სენით, რის შემდეგაც კვლავ ჯანმრთელდება და უბრუნდება იმავე ასაკს, რომელიც ქრისტეს გარდაცვალების დღეს ჰქონდა.

ქრისტეფორე კოლუმბი

ერთი მხრივ, უდიდესმა ზღვაოსანმა შეძლო მოეხდინა უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენა, მეორე მხრივ — მას ამის შესახებ არასოდეს არაფერი გაუგია, მისგან აღმოჩენილ მატერიკს კი ამერიგო ვესპუჩის სახელი ეწოდა.

კასტილიის დედოფალი იზაბელა დაპირდა კოლუმბს, რომ ის გახდება იმ ნებისმიერი მიწის გუბერნატორი, რომელსაც აღმოაჩენდა. თუმცა, ახლად აღმოჩენილი მიწის ადმინისტრატორის როლი იმდენად არ ერგო, რომ, ბოლოს და ბოლოს, მას ჩამოართვეს თავისი ვალდებულებები და გაგზავნეს უკან ესპანეთში ხელბორკილით. თუმცა, ესპანელთა შორის სახელგანთქული მოგზაურის გამოჩენამ, რომელსაც ბორკილები ჰქონდა დადებული, ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მთავრობა იძულებული გახდა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა იგი. ბორკილები მოხსნეს, მაგრამ უკიდურესობამდე შეურაცხყოფილ ადმირალს თავისი სიცოცხლის ბოლომდე არ მოუშორებია ისინი თავიდან და გასცა განკარგულება, რომ კუბოშიც ბორკილებთან ერთად ჩაესვენებინათ.

ედვარდ ვუდი

ედვარდ ვუდი — ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურაა. გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ის აღიარეს კინოს მთელი ისტორიის ყველაზე ცუდ რეჟისორად. პარადოქსი ისაა, რომ ედვარდს კინო სიცოცხლეს

ერჩია. გენიოსი რომ გამხდარიყო, მას ხელი აბსოლუტურმა უნიჭობამ შეუშალა. მან კარიერა 50-იან წლებში დაიწყო, იღებდა დაბალბიუჯეტიან ფილმებს.

მას ორიგინალური შეხედულებები ჰქონდა რეჟისურაზე. ქუჩის ნებისმიერი ადამიანი მას გენიალური მსახიობი ეგონა. მას ყოველთვის ჰყოფნიდა მხოლოდ ერთადერთი დუბლი. ედი აცხადებდა, რომ კინო, სულ ერთია, თავისთავად პირობითობაა. ძვირად ღირებული ნატურისათვის ხარჯები რომ არ გაეღო, ის ნაცნობ მემონტაჟეს ართმევდა ნატურალური კადრების იმ ნაწილებს, რომლებიც არ შესულა სხვა სურათებში და ამონტაჟებდა მათ თავის ფილმებში. ედ ვუდი 1978 წელს სრულ სიღარიბეში გარდაიცვალა.

დევიდ ბიუიკი

დევიდ ბიუიკი ჭაბუკობიდანვე ავლენდა არაჩვეულებრივ უნარს: მან ცამეტი საპატენტო მოწმობა რისთვის აღარ მიიღო, მათ შორის, სარწყავი მოწყობილობისთვის მბრუნავი თავით წყლის საფრქვევად, ტუალეტის ზემოთ განთავსებული ჩამოსარეცხი წყლის ავზისთვის და თუჯის აბაზანების ემალირების ახალი ტექნოლოგიისათვის.

მას შეეძლო მულტიმილიონერი გამხდარიყო, მაგრამ თავში აზრად მოუვიდა გაეყიდა სანტექნიკური ბიზნესი და გადართულიყო შიდაწვის ძრავებზე. ავტომობილის პროექტი წარმატებული გამოდგა, მაგრამ ბიზნესში გამოუცდელმა ბიუიკმა ვერ შეძლო მისი გამოყენება. მისმა პარტნიორმა უაიტინგმა „ჯენერალ მოტორსის“ დამფუძნებელი უ. დიურანტი გაიცნო და მოელაპარაკა მას ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ. თავად დევიდისგან „ჯენერალ მოტორსში“ თავი გაითავისუფლეს. 1929 წელს ყველასგან მივიწყებული ბიუიკი კიბოსგან გარდაიცვალა, ავტომობილები კი, რომლებიც მის გვარს ატარებდნენ, ამ დროს ათასობით იყიდებოდა და ცნობილი იყო ყოველი ამერიკელისთვის.

ვუდი ალენი



ვუდი ალენი ზოგჯერ თავის თავს წარმატებულს უწოდებდა და იხსენებს, თუ როგორ გამორიცხეს ნიუიორკის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პირველი კურსიდან პროფესიული გამოუსადეგრობისთვის.

ეს კეკლუცობაა. წარუმატებლის სახის ექსპლუატირებით ალენმა უზარმაზარი კომერციულ წარმატებას მიაღწია.

მიგელ დე სერვანტეს საავედრა

მსოფლიო ლიტერატურის მომავალ კლასიკოსს ბედი არ ანებივრებდა. 1570 წელს ის მოხვდა ომში თურქებთან და ლეპანტოსთან საზღვაო ბრძოლაში (1571) მარცხენა ხელი დაკარგა, მიიღო თიკუნი „ლევანტელი ხეიბარი“.

სამშობლოსკენ მომავალი სერვანტესი გზაში მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში და ალჟირის ფაშას მონად მიჰყიდეს, სადაც 5 წელი იმყოფებოდა. ოთხჯერ ცდილობდა გაქცევას, მაგრამ ყოველთვის წარუმატებლად. 1550 წელს სერვანტესი მისიონერებმა გამოისყიდეს და მადრიდში დაბრუნდა, სადაც ლიტერატურულ შემოქმედებას

მოკიდა ხელი. ლიტერატურა ძალიან მცირე შემოსავალს აძლევდა, რამაც აიძულა სერვანტესი გადასახლებულიყო სევილიაში და ფლოტისთვის სანოვაგის შესყიდვის აგენტი გამხდარიყო. მოგვიანებით ის იწყებს მუშაობას გადასახლების ნარჩენების შემკრებად. 6 წლის განმავლობაში, რომელიც მან სამოქალაქო სამსახურს მოახმარა, სერვანტესი სამჯერ

მოხვდა ციხეში. 1602 წელს სევილიის ციხეში მორიგი მოხვედრის დროს სერვანტესმა დაწერა რომანი „ცბიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“.

ჯანკარლო ფიზიკელა

სტარტი აიღო ას ერთ გრან-პრიში, მაგრამ რბოლა ვერც ერთხელ ვერ მოიგო, მოიპოვა „ფორმულა-1“-ის მთავარი ბედუკულმართის საპატიო ტიტული. დღეისათვის ერთადერთი გამარჯვება ფიზიკელამ მოიპოვა ყველაზე დამამცირებელი სახით.

რბოლა 2003 წელს ბრაზილიაში მიმდინარეობდა რთულ საამინდო პირობებში და ფერნანდო ალონსოს („რენო“) ავარიის გამო, რომელიც მარკ უებერის („იაგუარი“) ბოლიდში შეიჭრა, და რბოლა 55-ე წრეზე შეაჩერეს. 53 წრის შედეგებით გამარჯვებულად რაიკონენი („მაკლარენი“) გამოაცხადეს. რამდენიმე დღის შემდეგ ფიამ გადაწყვიტა, რომ შედეგები მაინც უნდა დაფიქსირდეს 54-ე წრის მდგომარეობით, და გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკელა. აღსანიშნავია, რომ უმალვე რბოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც პილოტებმა თავიანთი მანქანები გუნდების ბოქსებში დაყენეს, ფიზიკელას „ჯორდანს“ ცეცხლი გაუჩნდა, ასე რომ, რბოლა კიდევ ერთი წრით რომ გაგრძელებულიყო, ჯანკარლო დისტანციას ჩამოშორდებოდა.

მეფე მიდასი

როდესაც ნაყოფიერების ღმერთი დიონისე კრეტას მეფე მიდასთან მივიდა და შესთავაზა, რომ შეასრულებს ნებისმიერ მის სურვილს, უკანასკნელმა სწორად ფორმულირება ვერ მოახერხა, ისურვა, რომ ყველაფერი, რასაც ხელით შეეხებოდა, ოქროდ ქცეულიყო.

შიმშილით სიკვდილის ზღვარზე, შეცდომით საკუთარი ქალიშვილი ძვირფას ოქროს ზოდად აქცია, მიდასმა სთხოვა დიონისეს გაეუქმებინა სასწაული, რის შემდეგაც შეიტანა შესწორება – ოქროდ უნდა ქცეულიყო არა ყველაფერი, არამედ მხოლოდ ის, რაზეც თავად მიდასი ფიქრობს, მაგრამ არც აქ გაუმართლა – როდესაც ქვეყანა ოქროდ აქცია, ამან ძვირფასი ლითონის ძლიერი დევალვაცია გამოიწვია, ოქრომ დაკარგა ყოველგვარი მიმზიდველობა, ღარიბებისთვისაც კი.

ბერნარ აშერიო

ფრანგი ბერნარ აშერიო (დაიბადა 1951 წელს) მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე უიღბლო კაცი დედამიწაზე. წლინახევრისა ის დაეცა და მენჯი მოიტეხა. ოდნავ მოგვიანებით – ველოსიპედიდან გადმოვარდა და თავის ტრავმა მიიღო. მას შემდეგ აშერიოს მოტყდა ხელები და ფეხები, ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე მანქანების ბორბლებქვეშ.

იგი აფიქსირებს ყველა თავის უბედურებას, რომელთა რიცხვმაც 53 წლის განმავლობაში 160-ს გადააჭარბა. მარტო ერთ თვეში ბერნარს თავს დაატყდა უამრავი უბედურება: მის სახლს დაეცა მეხი, რამაც საყოფაცხოვრებო ტექნიკა გამოიყვანა მწყობრიდან; ერთი დღის შემდეგ გასკდა ცენტრალური გათბობის რადიატორი; შემდეგ გზატკეცილზე მის მანქანას დაეცა გაზის რამდენიმე ბალონი მის წინ მიმავალი სატვირთო ავტომანქანიდან. ის იყო აშერიომ გაარემონტა მანქანა, რომ მას მანქანა შეეჯახა. ყოველივეს დასასრულ ვიღაც მაწანწალამ მისი სახლის სარდაფში თავი მოიკლა.

ბეკ ჰანსენი

ალტერნატიული ბედისწერის ეს ვუნდერკინდი არაფრით არ უნდა შეგეცოდოს, რომ ბედი არ წყალობს, მიუხედავად ამისა, სწორედ სიმღერამ ბედუკულმართობაზე მოუტანა მას მსოფლიო სახელი.

მას მხარს უბამდნენ სიმღერაში ლუზერი-მწეველები და მწაპნელი ბოტანიკოსები, ოქროს ახალგაზრდობა და ბოჰემა. თავად ბეკ ჰანსენი, სასწაული ბავშვი, პატარაობიდანვე, მამის სწავლებით, უკრავდა გიტარაზე, ბანჯოზე, გარმონიკაზე, ამავე დროს, იყო ჭაბუკი პრობლემების გარეშე.

ტიფოზური მერი

ბოროტი ბედისწერის ყველა გამოვლინებიდან ყველაზე უცნაური „ჯონის სინდრომია“, ესე იგი ისეთი უიღბლობა, რომლის დროსაც ადამიანი ტრაგიკულ მოვლენათა მიზეზი ხდება, თავად კი რჩება უვნებელი.

ასეთი სინდრომი, უეჭველია, ჰქონდა ტიფოზურ მერის, ამერიკელ მოსამსახურე ქალს, რომელსაც მიიჩნევდნენ პასუხისმგებლად ეპიდემიისათვის, XX საუკუნის დასაწყისში 40 ათასი კაცის სიცოცხლე რომ იმსხვერპლა.

◎ მოთხრობა

ის არის!

ბორჯომულას პირას ტყის დაბალი, ტოტებგაშლილი ნაძვის ძირში იჯდა ჯონდო და გაკვეთილებს ამზადებდა. არც სახლში უშლიდა ვინმე ამისთვის ხელს, მაგრამ მაინც, თუ კარგი ამინდი იყო, აქ ერჩია ხოლმე ყოფნა – მდინარის ხმაური, ნაძვნარის სურნელი და მზიანი დღის სიგრილე, ეგონა, ეხმარებოდა კიდეც, აეთვისებინა წაკითხული.

წაიკითხა ტექსტი, გადადო წიგნი გვერდზე, შეაბრუნა თავი ცისკენ, რომელსაც ხშირი ტყიდან ვერც ამჩნევდა და დაიწყო მოყოლა.

უეცრად ხმაურმა გამოიყვანა მდგომარეობიდან, მდინარისპირიდან რომ მოდიოდა. მოეჩვენა, რომ მხოლოდ ბავშვების ხმა იყო, თანაც განწირული და სასოწარკვეთილი.

წამოდგა ფეხზე, რამდენიმე ნაბიჯით ქვევით ჩავიდა და მდინარისკენ გაიხედა.

— იხრჩობა...

— უშველეთ...

მდინარის პირას მხოლოდ ბავშვები იყვნენ. მდინარისკენ გაიხედა და დაინახა, რომ ვიღაც პატარა უსუსტრად აფართხალებდა ხელ-ფეხს და წყალს ქვემოთ მიჰქონდა. ცოტაც და – დინება დიდ მორევში ჩაითრევდა.

არაფერზე უფიქრია, მთელი სისწრაფით ჩამოირბინა დაღმართი და მდინარეში გადახტა.

მიუსწრო. წაავლო ხელი და ნაპირისკენ მოისროლა. აქ ქვაზე ფეხი აუცურდა და იმ მორევისკენ თავად ის წაიღო დინებამ...

აღარაფერი ახსოვს. გონს რომ მოვიდა და თვალი გაახილა, დაინახა – ნაპირზეა და თავზე გოგონა ადგას.

წამოდგომა დააპირა, მაგრამ გოგონამ გააჩერა...

— ცოტა ხანს კიდევ იყავით, დამშვიდდით. თქვენ იხრჩობოდით, ძლივს გამოგათრიეთ ნაპირზე. ეს ბავშვები დამეხმარნენ, რომ ხელებისა და ფეხების მოძრაობით გონზე მოგვეყვანეთ.

— დიდი ბოდიში, ძლივს ამოღერღა ჯონდომ, — ძალიან დიდი მადლობა.

წამოდგა ფეხზე, მაგრამ ისე სუსტად გრძნობდა თავს, კინაღამ ისევ დაეცა. ძალა მოიკრიბა, სველი ტანსაცმელი ტანზევე გაიწურა, აიღო წიგნები და სახლისკენ წავიდა.

— თურმე, თქვენ რა კარგი ადამიანი ყოფილხართ, — დაეწია მას გოგონა. — ბავშვებმა, გია მაგან გადაარჩინაო. მშობლები სადღაც შორს ყოფილან.

ჯონდო ხმას არ იღებდა. ახლა გაახსენდა, თუ რა მოუვიდა.

— ...სხვა გადაარჩინეთ და ამ დროს თქვენ თავად არ გცოდნიათ ცურვა. ან ქვას რომ არ დაარტყით თავი? — განაგრძობდა გოგონა.

— არა, უბრალოდ დავიბენი. ცურვა მართლა არ ვიცი.

სახლში მიმავალ ჯონდოს გაახსენდა თავისი გადამრჩენი გოგონა. ის სხვა სკოლის მოსწავლე იყო. ახსოვდა ისიც, რომ გოგონას თინა ერქვა. მისი კლასელი ბიჭები ერთმანეთს უზიარებდნენ ხოლმე თავიანთ აზრს, რა ლამაზი გოგოაო. თუმცა, ჯონდოს არც მოსწონდა მაინცდამაინც. ახლა კი ისეთი ლამაზი მოეჩვენა, ჯერ მსგავსი რომ თითქმის არ უნახავს.

მეორე დღეს ქალაქი იმაზე ალაპარაკდა, ბიჭმა, ვინაც ცურვა სულ არ იცოდა, ბავშვი გადაარჩინა და თავად კინაღამ დაიხრჩოო... მადლობა ღმერთს, იმეორებდა გულში ჯონდო, ჩემს სახელს არავინ ახსენებსო.

როგორც ჩანს, არც თინამ იცოდა მისი სახელი.

მას შემდეგ, როცა ჯონდო ქუჩაში თინას დაინახავდა, გზის მეორე მხარეს გადადიოდა ან უკან ბრუნდებოდა. არ უნდოდა, კვლავ შეხვედროდა მას, თუმცა, მისი სახე ფხიზელსაც და მძინარესაც სულ თვალწინ ედგა.

მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. ეს თავისი თანაკლასელის დაბადების დღეზე მოხდა. თვითონ თინა მივიდა მასთან.

— რას გამირბიხარ, გეგონა, შენს სახელს ვერ გავიგებდი, ჯონდო?

მის შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. თავიანთ გრძნობას არც ერთი არ მალავდა და მომავალიც უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ, მაგრამ...

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებში აღმოჩნდნენ – ასეთი დრო იყო მაშინ: სამუშაოდ აგზავნიდნენ პიროვნების სურვილის გაუთვალისწინებლად – ქვეყანას ასე სჭირდებაო.

და, როგორც თვალი შორსაო, გულიც ისე შორსაო – უთქვამს ქართველ კაცს და მასში ეჭვის შეტანაც ხომ თითქმის შეუძლებელია.

იქნებ, ამაში ისიც იყო დამნაშავე, რომ ჯონდომ ბოლო წერილებში რაღაც გულგრილობა და სიცივე იგრძნო.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შეხვედრაზეც ეს სიცივე კიდევ უფრო მეტად დაინახა.

თანაც გოგონა გაიცნო, ვისთან შეხვედრებმაც სრულიად გადაავიწყა შენი თინა. ბევრად უფრო მომხიბლავი, გონიერი, გულთბილი და...

ღმერთმა ყველა ღირსეულ ადამიანს შეაქმნევინოს ისე თბილი, მოსიყვარულე, წარმატებული, მყარი და ბედნიერი ოჯახი, როგორიც ნაზიკომ და ჯონდომ შექმნეს.

თინა?

ჯონდომ მის შესახებ აღარაფერი იცის. ქუჩაშიც არ შეხვედრია იქნება, ალბათ, ერთი ოცი-ოცდახუთი წელი. ეს ხომ ბორჯომი არაა, სადაც, ვინდა თუ არა, ყოველთვის მალე შეხვდები ნაცნობ სახეს. თბილისი დიდია, ხალხმრავალი.

ისე, კაცმა რომ თქვას, აღარც ახსენდება იგი. ზოგჯერ – ეს ათასში ერთხელ ხდება – როდესაც გაახსენდება, იტყვის ხოლმე თავის გულში: რომ შევხვდე, შეიძლება ვეღარც ვიცნოო.

ნაზიკოსაც, რამდენი ხანია, აღარ უხსენებია თინა, ვის შესახებაც ყველაფერი იცოდა ჯონდოსგან, რასაკვირველია, მათ პირველ შეხვედრებთან დაკავშირებით. ისე კი, როცა შეახსენებდა ხოლმე, თავადაც ატყობდა, რომ ჯონდოს სულ აღარ აინტერესებდა თავისი პირველი სიყვარული თუ სიჭაბუკის გატაცება.

თეატრიდან მოდიოდნენ. მეტროს ესკალატორიდან რომ გადმოვიდნენ, ჯონდო ადგილზე გაიყინა, აღმა მიმავალი ესკალატორისაკენ მიაბრუნა სახე და წარმოთქვა:

— ის არის!

ნაზიკომ შეხედა სახეზე. ჯონდოს სახეს გამომეტყველება არ ჰქონდა. ის იყო უგრძნობი, არაფრისმთქმელი და გაყინული.

— ვინ ის, ჯონდო?

— ის.

ნაზიკოს აღარაფერი უკითხავს. ჯონდო კი გაშეშებული და დამუნჯებული ზევით და ზევით იმზირებოდა. ქალს ეჭვიც არ შეჰპარვია, ვინ უნდა ყოფილიყო „ის“.

ან იყო კი იგი „ის“, ვისზეც ნაზიკომ იფიქრა?!

სახლში რომ მივიდნენ, ჯონდომ გადმოიღო იმ დილის გაზეთები და კითხვა დაიწყო. ასე იცოდა ხოლმე – დღისით მათ წაკითხვას ვერ ასწრებდა და საღამოობით ათვალიერებდა.

ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში მისი ყურადღება სამგლოვიარო განცხადებამ მიიპყრო:

ნათესავები და ახლობლები იტყობინებოდნენ, რომ გარდაიცვალა „თინა“.

ზურაბ ლომიძე

◎ ალიანჩალიანი

კულტურის მინისტრი ანსამბლ „სუხიშვილებს“ ეწვია

გუშინ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია „ქართული ნაციონალური ბალეტის“ – „სუხიშვილების“ ხელმძღვანელების ილიკო და ნინო სუხიშვილების მიწვევით ანსამბლის რეპეტიციას დაესწრო.

2015 წელი „სუხიშვილების“ საიუბილეო წელია - ანსამბლს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. მინისტრის ინიციატივაა, 2015 წელი „სუხიშვილების“ წლად გამოცხადდეს და ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად აღნიშვნის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმოს.

„ქართული ნაციონალური ბალეტი“ – ქორეოგრაფიული ანსამბლი „სუხიშვილები“ 1945 წელს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა და რამდენიმე წელიწადში „აკადემიური ანსამბლის“ სტატუსიც მიენიჭა. მას მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში უამრავი წარმოდგენა აქვს გამართული.

ანსამბლმა ქართულ ცეკვაში ინოვაციური, ე.წ. „მოდერნ-ბალეტის“ პრინციპებთან მიახლოებული რეფორმა განახორციელა, თუმცა, თავისი არსითა და პოეტიკით იგი ქართული ეროვნული ქორეოგრაფიაა – ანსამბლის მიერ დადგმული ცეკვები ქართულ ფოლკლორს ეფუძნება.

2007 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი-უმცროსი, ხოლო დირექტორი – ნინო სუხიშვილი გახლავთ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი მოიგო

ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლომ დაადგინა, რომ ქართველების დეპორტაციის დროს 2006 წელს, რუსეთმა დაარღვია ევროპული კონვენცია

შესაბამისად დაირღვა ადამიანის უფლებათა კონენციის მეოთხე ოქმის ოთხი მუხლი. დაკავებისა და დაპატიმრების დროს ქართველები იმყოფებდნენ დამამცირებელ და არაადამიანურ პირობებში, რითაც დაირღვა მესამე და მეხუთე მუხლები“, — ნათქვამია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტშია ნათქვამი, რუსეთმა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ დაარღვია ევროპული კონვენციის მთელი რიგი მუხლები, მათ შორის მე-3 (წამებათა აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება), მე-8 (კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებათა უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა).

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა ქართველების დეპორტაცია დაიწყო 2006 წელს საქართველოს სამართალდამცველების მიერ ჯაშუშობაში ბრალდებით ოთხი რუსი ოფიცრის დაკავების შემდეგ.

სასარჩელო განცხადებაში საქართველომ ბრალი დასდო რუსეთს ქართველ მოქალაქეთა დისკრიმინაციაში და ადამიანის უფლებათა დარღვევაში. სასარჩელო ტესტში ნათქვამია, რომ „რუსეთმა მასობრივი წესით დემონსტრაციულად და შერჩევით ეთნიკური ნიშნების მიხედვით მოსკოვიდან მოახდინა საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია, აყენებდა მათ ყოველგვარ დამამცირებელ შეურაცხყოფას“.

საქართველოს მხარემ ასევე განაცხადა, რომ დეპორტაციის დროს 2006 წელს დაუშვებელი პირობებისა და არაადამიანური მოპყრობის გამო რამდენიმე კაცი დაიღუპა. დეპორტირებულ მოქალაქეთა გადაადგილებისათვის რუსეთის მხარემ გამოიყენა სატვირთო თვითმფრინავები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების სტანდარტებს და არ იყვნენ მოწყობილი ადამიანების გადასაყვანად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ რუსეთის ფედერაციას დააკისრა ვალდებულება, გადაუხადოს საქართველოს მატერიალური კომპენსაცია, თუმცა, მისი ოდენობა უნდა შეათანხმონ ერთმანეთს თავად მხარეებმა 12 თვის განმავლობაში, პირდაპირი მოლაპარაკების გზით.

„იმასთან დაკავშირებით, რომ დადგინდა ამდენი დარღვევა, რუსეთს ეკისრება სამართლებრივი ვალდებულება, გადაუხადოს საქართველოს კომპენსაცია მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის. შეთანხმების მიღწევისათვის კომპენსაციის ოდენობის შესახებ საქართველოს და რუსეთის იუსტიციის სამინისტროებს მიეცათ ვადა 12 თვის ოდენობით“, — იტყობინება საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ამავე დროს, თუ მხარეები წლის განმავლობაში ვერ შეძლებენ, მიაღწიონ შეთანხმებას კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით, ამას გააკეთებენ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოები.

მხარეების კომენტარები

საქართველო მიესალმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებას. **საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც ესწრებოდა ვერდიქტის გამოქვეყნებას, მიულოცა გამარჯვება 2006 წელს დაზარალებულ ადამიანებს.**

„მინდა, მივულოცო ყველა იმ ქართველს, რომლებიც აღმოჩნდნენ დამამცირებელი ურთიერთობის მსხვერპლი, გამარჯვება და აღვნიშნო, რომ ევროპის სასამართლომ მათი უფლებები დაიცვა“, — განუცხადა წულუკიანმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არ დაადგინა საქართველოს იმ მოქალაქეთა გამოსახლების ფაქტები, რომლებიც კანონიერად იმყოფებოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ ეთნიკური ქართველების უფლებათა დარღვევა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები იყვნენ.

„ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გამოვლენილი დარღვევები შეეხებათ მხოლოდ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან და უკანონო მიგრანტებისა და დროებითი დაკავების ცენტრებში იმ პირების ყოფნასთან, რომლებმაც დაარღვიეს რუსეთის კანონმდებლობით დადგენილი წესები რუსეთის ტერიტორიაზე“, — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს 3 ივლისის განცხადებაში.

ამავე დროს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსმა ლევან მესხორაძემ განაცხადა, რომ თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ „მთავარი აქცენტი“ გააკეთა იმაზე, რომ დარღვევები ქართველებთან დაკავშირებით „არ იყო ინდივიდუალური, ან იზოლირებული შემთხვევები“, ეს იყო „კარგად დაგეგმილი და ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მაღალ დონეზე იმპლემენტირებული დევნის პოლიტიკა“.

„რუსეთის მტკიცებისაგან განსხვავებით, რაც ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ბევრჯერ მოგვისმენია, თითქოს ეს იყო ემიგრაციული პოლიტიკის შედეგი, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ქართველების დევნა ეთნიკური ნიშნით და მათი უფლებების მასობრივი დარღვევა“, — განუცხადა მესხორაძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს 3 ივლისს.

საიდუმლო მოქმედება?

საქართველოს **იუსტიციის მინისტრმა, როდესაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ვერდიქტის მნიშვნელობაზე საუბრობდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროსასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება არის მნიშვნელოვანი საქართველოს მეორე სახელმწფოთაშორისი სარჩელისთვისაც, რომელიც შეტანილია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით.**

კერძოდ, საქართველო ბრალს სდებს რუსეთს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის რვა მუხლის დარღვევასა და რუსი ჯარების ქართული რეგიონების სამოქალაქო მოსახლეობის ცხოვრებასა და ქონებაზე ხელყოფაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამავე დროს რუსეთის მხარე ამტკიცებს, რომ საქართველოს ბრალდებანი უსაფუძვლოა და რომ რუსეთის ჯარები 2008 წლის ომის დროს იცავდნენ სამხრეთი ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობას „ქართული აგრესიისაგან“.

„სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფაქტობრივ ვითარებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი სარჩელებისათვის და არის იმ ქართველების გამარჯვება, რომლებიც 2006 წელს გახდნენ რუსეთში ამ დარღვევათა მსხვერპლი“, — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 3 ივლისს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ერთ-ერთი ქართული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მას მოუწია დაპირისპირებოდა „არაერთ“ მცდელობას, რომლებიც განხორციელდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ ამ სარჩელის შეჩერების მიზნით.

„მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრად დამნიშნეს, არაერთგზის განხორციელდა სხვადასხვა ხასიათის მოქმედებები იმისათვის, რომ უკან გამეწვია ეს სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან, მაგრამ ეს სარჩელი დარჩება იქ ბოლომდე და ვერდიქტს მე მოვისმენ 3 ივლისს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა 27 ივნისს.

ამავე დროს, იუსტიციის მინისტრმა უარი განაცხადა, გაამჟღავნოს დეტალები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ახდენდა მასზე ზემოქმედებას საქმის შეჩერების მიზნით ქართველების დეპორტაციის შესახებ რუსეთის ფედერაციიდან. წულუკიანმა უპასუხა ჟურნალისტებს, რომ იგი ამის შესახებ განაცხადებს საჯაროდ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე აღარ იქნება მთავრობის წევრი.

სუფთა ფურცლიდან

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ევროპის ადამიანთა უფლების სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოთაშორის, სარჩელის შესახებ „საქართველოს მოქალაქეთა დევნასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 2006 წლის შემოდგომაზე“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, რომ ახლა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ.

„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო სამართლიანი, მაგრამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი უნდა დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან. ის, რაც იყო და მოხდა — მეტად სამწუხაროა, მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა. სასამართლომ ყველა შეკითხვას გასცა პასუხი“, — განუცხადა ჭიკაიძემ ჟურნალისტებს თბილისში 3 ივლისს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შექმნის დღიდან 1959 წელს, სასამართლოში შევიდა სულ 16 სახელმწიფოთაშორისი სარჩელი. გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ სამის მიმართ: ირლანდია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (1978 წელი), დანია-თურქეთის წინააღმდეგ (2000 წელი) და კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (2001 წელი).

Voice of America

დედამიწის ზურგზე

დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და კანადამ აეროპორტებში ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით ტერორისტული აქტების საფრთხის გამო გააძლიერეს კონტროლი უსაფრთხოებაზე

ბრიტანეთში გაძლიერებულია მგზავრების შემოწმების ზომები ლონდონის აეროპორტ „ხიტროუში“. მგზავრებს გულდასმით ამოწმებენ, გულდასმით ჩხრეკენ, ამოწმებენ ელექტრონულ ტექნიკას. ხელისუფლება მგზავრებს ამშვიდებს, აფრთხილებს, სხვათა შორის, რომ ახალი ზომები მუდმივი გახდება.

* * *

პოროშენკომ ახალი ზავის პირობები გაიმეორა, ჯერჯერობით არმია აგრძელებს შეტევას

პოროშენკოს აუცილებელი მოთხოვნები ადრეც გაჟღერდა. მათ შორისაა — ზავის დაცვა კონფლიქტის ორივე მხარის მიერ, ყველა მძევლის გათავისუფლება და კონტროლის დამყარება რუსეთის ფედერაციის საზღვარზე. კიევი აცხადებს, რომ ამ გზით უკრაინაში შემოვიდა 20 ტანკი და 122 ერთეული ჯავშანტექნიკა.

* * *

ბრიტანეთი აპირებს შეაიარაღოს და ასწავლოს ასი ათას სირიელს, რათა მალე დაამხონ ასადი

ბლიცკრიგი ასადის წინააღმდეგ უნდა გაიმართოს ამერიკული კამპანიის მსგავსად ერაყში 2003 წელს. გეგმა „შევაგროვოთ, შევაიარაღოთ, ვასწავლოთ“ ითვალისწინებს 100-ათასიანი არმიის მომზადებას და სირიის მთავრობის ჩამოყალიბებას დევნილობაში, შემდეგ კი მოხდება მათი გადასროლა დამასკოში. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, გააკეთოს ის, რაც ვერ გაბედა ორი წლის წინათ ბრიტანეთმა.

* * *

გრიგალი „არტური“ თავს დაატყდა ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს და ამერიკელები დამოუკიდებლობის დღის ფეიერვერკების გარეშე დატოვა

ტროპიკულმა გრიგალმა ჩრდილოეთი კაროლინის სანაპიროს 3 ივლისის საღამოს მიაღწია, ჩაუშალა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ცენტრალურ-ატლანტიკური შტატებისა და მთელი ახალი ინგლისის სანაპირო რაიონების მცხოვრებლებს. პიკნიკები და კონცერტები გაუქმდა ან გადაიდო კვირისათვის, მხოლოდ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში გვპირდებიან გამართონ ფეიერვერკები ნებისმიერ ამინდში.

ფიფი ოლიმპის ფარო ანაკლიაში



სოდომ-გომორის ელექტრონული მუსიკის აკომპანიმენტით

(პირველი გვერდიდან)

საინტერესოა, რა კავშირი აქვს კაზანტიპის, მის კონსტიტუციას, მის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ პრეზიდენტს ნიკიტა პირველს ჩვენს ანაკლიასთან? არც მეტი, არც ნაკლები, ყირიმულმა კონცხმა კოლხეთში გადმოინაცვლა: დიახ, 2014 წელს ანაკლია უმასპინძლებს კაზანტიპელებს. კაზანტიპელებზე სანამ ვისაუბრებთ, ორ ძველ ანეკდოტს შეგახსენებთ და გზადაგზა აგიხსნით, რა კავშირშია ანეკდოტები ამ ფესტივალთან, რომელიც ჩვენთან 20-დან 30 აგვისტომდე გაიმართება.

მოკლედ დავიწყოთ, **ანეკდოტი პირველი:**

ქუთაისში თეთრ ხიდზე, ზამთარში, ნახევრად მოყინულ რიონს უსაქმური შალიკია და ჟორჟიკია გადაყურებენ და გასართობს ეძებენ. ბიკენტიას დუქანში ქეიფზე დაენიძლავებიან ერთმანეთს, ვინ მეტ გამვლელს აიძულებს რიონში გადახტომას. გამოივლის ებრაელი შალომა. — რას გადაყურებთ, დეგენერეცვლეო“, — ეკითხება თანაქალაქელებს.

— „რას და ჟორჟიკიას, აგერ ნიკოლოზის თუმნიანი ჩაუვარდა და ამოტანა გვეზარებაო“.

ჰკრა შალომიამ ფეხი და გადაეშვა რიონში. ახლა კოპიტნარელი ივანე რუსი მოდის.

— „ორი ბოთლი ოტკა ჩაგვივარდა და ამოტანა გვეზარებაო, — წამოაგეს ანკესზე ნაბახუსევზე სახედასიებული ვანია. ფრანგი მოდის და ისიც შიშველი ქალის ეშხით გადაუშვეს რიონში. გაიხედეს და ჭიჭიკია არ მოდის?! ამის გადაგდებაა რიონში კაცობა — შიშველი ქალიც ფეხებზე ჰკიდია, ორი ბოთლი არაყიც და ოქროს თუმნიანიც. უცებ ჟორჟიკიას გონება გაუნათდა — გეიგე, ჭიჭიკია, გორბაჩოვს ზამთარში რიონში ბანაობა ოუკრძალიაო.

— ვინ ეკითხება ევროკავშირსო! — და გადაეშვა ჭიჭიკია რიონში.

ასე რომ, მკითხველო, ქართველ კაცს რასაც აუკრძალავ, იმას აკეთებს ჯიბრზე, ალბათ, ვიღაცამ ჩვენს მთავრობას ჩააწვეთა — საშინელებაა ეს კაზანტიპი, რაღა სოდომ-გომორის ცოდვის დაკანონება და რაღა ამგვარი ღონისძიებების ყოველწლიურად მოწყობაო. ჰოდა, რის ქართველები არიან ჩვენს მთავრობაში, ხალხის აზრს რომ არ შეეწინააღმდეგონ, ადგნენ და მოიპატიჟეს მთელი მსოფლიოს პედერასტები, ნუდისტები, ნარკომანები, სოდომ-გომორისტები და, ჩვენ, რომ გვეგონა, მთავრობის სხდომაზე ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ბჭობდნენ და ღამეებს ათენებენო, თურმე, გეგმებს აწყობენ, როგორ ჩაატარონ ეს ფესტივალი.

ახლა ორიოდე სიტყვით, თუ რას წარმოადგენს ეს ფესტივალი. კაზანტიპი ელექტრონული მუსიკის ფესტივალია, რომელიც ყოველწლიურად, მოყოლებული 1992 წლიდან, ტარდებოდა ყირიმში. როგორც ამბობენ, ის თავიდან არცთუ ისე გრანდიოზული იყო, ბოლო ხანებში კი მას 150 ათასზე მეტი ტურისტი დაესწრო არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, არამედ მსოფილოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მას არა მხოლოდ ელექტრომუსიკის მოყვარულები და საქვეყნოდ ცნობილი დიჯეები, არამედ ფესტივალს საწყალოსნო სპორტის მოყვარულები და ბოდიარდისტებიც სტუმრობენ. სპეციალურად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე განლაგებულია კაფე-ბარები, კარვები, საცეკვაო მოედნები, უზარმაზარი ეკრანები ფილმების მოყვარულთათვის, ბიოტუალეტები. „ძილი აქ სირცხვილია!“ — სწორედ ამ ლოზუნგით ცხოვრობენ რამდენიმე კვირა კაზანტიპელები. აუარება სასმელი, შიშველი ან ნახევრადშიშველი მონაწილეები, ნარკოტიკები, ორგიები და ათასგვარი გარყვნილება ნებადართულია...

დროა **მეორე ძველ ანეკდოტზე** გადავიდეთ.

კახეთში მარო გააუპატიურეს. სასამართლოზე მოწმედ დაბარებულ მიხოს ეკითხებიან, მოყევი, რა ნახეო.

— მე, ბატონო მოსამართლევ, ჩემთვინა ძროხას ვმწყემსავდი. გავიხედე, ვანუამ მარო შეიტყუა ბოსტანში და ტყნ... დაო.

მოსამართლე აწყვეტინებს — მიხო, ნუ ბილწსიტყვაობ, თქვი, რომ ინტიმურ კავშირს ამყარებდაო;

— „ჰო, ბატონო მოსამართლევ, შორიდან ეგრე ჩანდა, მაგარამ ახლო რომ მივედი, მართლა ტყნ... და ეგ შობელძაღლიო.

ეჰ, ჩემო კარგებო, შორიდან მართლაც კარგადა ჟღერს — ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, მაგრამ ახლოდან — ახლოდან მე არასოდეს დავსწრებივარ ამგვარ სოდომ-გომორას, მაგრამ თუ ძირძველ ვესელოელებს, შჩელკინოელებს, სუდაკელებს, სოფელ პოპოვკელებს (სადაც წლების მანძილზე ტარდებოდა ამგვარი ფესტივალები) დავუჯერებთ, მიხოსი არ იყოს — ახლოდან სულ სხვანაირად ჩანდა ყველაფერი.

მაგალითად, სუდაკის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი **ნიკოლაი ფედორიანი** ფესტივალის დასრულების შემდეგ ზემდგომი ორგანოებისთვის წარდგენილ მოხსენების ბარათში წერს — **„ადგილი ჰქონდა კანონდარღვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე სადღეღამისო მორიგეობას ატარებდა 70-ზე მეტი მილიციელი, მაინც მოხდა ხელჩართული ჩხუბი — ოთხი მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. დააპატიმრეს რუსეთისა და ბელორუსიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული რამდენიმე ნარკოდილერი;19 წლის გოგონა, რომელიც ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო საავადმყოფოში მოხვდა უგონო მდგომარეობაში. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ ე. წ. „ლომკის“ დროს იგი მესამე სართულიდან გადმოხტა**

და დაიღუპა. „რესპუბლიკის“ ტერიტორიის გარეთ ხშირი იყო ნახევრადშიშველი ტურისტების ორგიები, ლოთობა, საზოგადოებრივი წესების დარღვევა, ადგილობრივებთან ჩხუბი“.

როგორც ქალაქ სუდაკის მერი **ანატოლი კლევჩკინი** აღნიშნავს — **ფესტივალის მონაწილეებმა სერიოზულად დააზიანეს ასენიონის ციხე-სიმაგრე, რომელიც ანტიკური ხანიდან დგას ამ ტერიტორიაზე და ყირიმელთა კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენს. ამან აღაშფოთა ყირიმის არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებიც, რომლებმაც სასწრაფოდ მიმართეს სამართალდამცავებს და ანტიკური არტეფაქტების განადგურების გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს.**

აღარფერს ვამბობთ ადგილობრივი მოსახლეების მიერ გაღებულ ზარალზე და საჩივრებზე — ვინ გადაუხდის მათ განადგურებული ვენახების, ბაღ-ბოსტნების ზარალს, რომელიც აღგზნებულმა ფესტივალის მონაწილეებმა გადაჯეგეს.

მოკლედ ეს არის, რაც ახლოდან ჩანს, შორიდან კი უწყინარ მუსიკალურ ფესტივალად არის მონათლული.

ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს. როგორც სასულიერო პირები აცხადებენ ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა, როდესაც განაცხადა, რომ ეს ფესტივალი საქართველოში არ ჩატარდებაო. არადა მზადებაში უამრავი ხალხია ჩართული, როგორც ადგილობრივები, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები. არადა, კაზანტიპის ფესტივალი, ეს არის ადგილი, სადაც თავს იყრიან მეძავები, გარყვნილები, ნარკომანები, მამათმავლები. ეს მასა ყირიმიდან, რომელიც ახლა უკრაინას ეკუთვნის, საქართველოსკენ დაიძრა. რატომ? პასუხი ერთია — რანაირადაც არ უნდა მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს რუსეთის ხელისუფლება, ისინი თავიანთ ქვეყანაში არასგზით არ დართავენ ნებას ამგვარი გარყვნილების დაკანონებას. ჩვენ კი ჯერ ანტიდისკრიმინაციული კანონი მივიღეთ, შემდეგ კი კარი გავუღეთ ათასი ჯურის გარყვნილებას. ყველაფერი ეს კი „ფესტივალის“ სახით შევნიღბეთ.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი სიგუა** აცხადებს, **ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გათვლაა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდნეობა 100 პროცენტით გაიზარდოს. ხელშეკრულება სარეკლამო კომპანიასთან, უკვე გაფორმებულია, შეთანხმებაა მიღწეული უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებთან, ახალი რეისების დანიშვნაზე ბათუმის აეროპორტში, კიევის, ხარკოვისა და ლვოვის მიმართულებით. სულ საუბარია 11 რეისზე კვირაში. ამასთან, საქართველოში გაიმართება „კრიმფესტისა“ და „კაზანტიპის“ ანალოგიური ფესტივალი, რომლებიც ყირიმში ტარდებოდა.**

რაც შეეხება „რესპუბლიკა კაზანტიპის“ ერთადერთ პრეზიდენტს ნიკიტა I, რომლის სახელი და გვარია ნიკიტა მარშუნოკი, ისიც დიდი ვირეშმაკა ვინმეა. ჯერ იყო და, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, უფრო სწორად, ქართველ ლამაზმანებს — **„გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო საჩუქარი ყველა მშვენიერი გოგონასთვის ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მათ უყვართ აქტუალური მუსიკა და ცეკვა. მოდი, ძვირფასო და მიიღე უფასო კაზანტიპის ვიზა მზიან, ხმაურიან, მშვიდ ცხოვრებაში. გაიღიმე, იყავი ბედნიერი და თავისუფალი. პატარა პრეზიდენტი დიდი კაზანტიპის ხალხისა ნიკიტა I“.**

შეგვახვია, რა!

მერე კი გაუტია. თურმე ისე ნაყვარება ქართველები და თანაც ნამეტნავად ჩვენი ეროვნული კულტურა, ტრადიციები, ჩვენი მენტალიტეტი, რომ პატივი გვცა ნიკიტა I-მა და თუ ყირიმში ფესტივალი-ორგია 5-6 კვირას გრძელდებოდა, ჩვენ 10 დღის სიამოვნების ნება მოგვცა (ალბათ, კბილს გვისინჯავს). **ჩვენ,** ამბობს პრეზიდენტი, **გამოვიყენებთ ჩვენს გამოცდილებას და ეს პროექტი ცოტა სხვაგვარი გახდებაო. ეს იქნება მუსიკალური ფესტივალი, ახალი ერა, რომელიც საქართველოს ტრადიციებზე იქნება მორგებული. პირველ ხანებში 50 ათასი სტუმარი ვიქნებით და მერე ვნახოთო. ისე მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო მოიმატებსო** (ესე იგი ფარ-ხმალს არ ყრის და გვაიმედებს, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც გაგრძელდება შემდგომ წლებშიო)“. ვირეშმაკობა შემდეგ ნახეთ. **„ამ თქვენს პატარა ანაკლიაში ჩაიდება მილიონობით დოლარი ინვესტიცია, რომელიც კიდევ უფრო განავითარებს ადგილობრივ ბიზნესსო“.** ხომ არ გეცნობათ ეს სიტყვები ჩემო ხალხო? ისე ყველა პრეზიდენტი როგორ ერთნაირად აყვავებს ანაკლიას.

სამი წლის წინათ მიშაც ამას გვეუბნებოდა, თან ქართველ გოგო-ბიჭებს ბუჩქებში ეპატიჟებოდა. ხედავ, რა წინდახედული იყო ეს სულძაღლი? ახლა გამოვა რომელიღაც უნივერსიტეტში თუ კოლეჯში (ოღონდ ვერ გეტყვით სად) და იტყვის, გარყვნილება მე დავიწყე ჯერ კიდევ როდის და ახლა ოცნებამ მიიწერა ყველაფერიო. მართალიც იქნება, ბუჩქებით დაიწყო, მაგრამ ხომ დაიწყო. დაგეცადათ და უფრო ელექტრონულად გააგრძელებდა ყველაფერს, ახალგაზრდული ბანაკების საერთაშორისო ფესტივალად გადააკეთებდა, მაგრამ რად გინდა... ჩვენ ხომ დაუნახავი ხალხი ვართ ქართველები.

იხ. 11 გვ.

◎ ევროპის ლიგა

ასეც, ისეც

უეფა-ს ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში საჩხერეს „ჩიხურამ“ მაკედონიაში „ტურნოვო“ 1:0 დაამარცხა და განმეორებითი შეხვედრის წინ კომფორტული მდგომარეობა შეიქმნა. მეტოქე გუნდის კარში ერთადერთი გოლი მატჩის 31-ე წუთზე „ჩიხურას“ ახალწვეულმა, მარტვილის „მერანის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ლაშა კუჭუხიძემ გაიტანა.

ვილი ისიანის „დუბლის“ მიუხედავად, გაგვაწბილა ბოლნისის „სიონმა“, რომელიც თბილისში ალბანურ „ფლამურტარისთან“ დამარცხდა — 2:3.

კოგა კოგანიძე

◎ შელავათი

სუარესს სასჯელი შეუმსუბუქეს

URUGVAIS ეროვნული ნაკრების და „ლივერპულის“ თავდამსხმელ ლუის სუარესს მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ სასჯელი შეუმსუბუქა. თავდაპირველად ფიფამ ურუგვაელს ჯორჯო კილინის კბენისთვის ოთხი თვის განმავლობაში ყველა სახის საფეხბურთო აქტივობა აუკრძალა

და ნაკრებში 9-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც მისცა, მათ შორის ვარჯიშიც.ფიფას სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ კლაუდიო სულსერიმ განაცხადა, რომ სუარესს სასჯელის პერიოდში ვარჯიში შეეძლება. რაც შეეხება ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის აპელაციას თავდამსხმელის ნაკრებში დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით, სულსერიმ აღნიშნა, რომ ფეხბურთელს მხოლოდ ვარჯიშის ნება დაერთო, დანარჩენი აკრძალვები კი ძალაში დარჩება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ წყალბურთი

ქართველები რუმინეთით იწყებენ

უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 14 ივლისიდან წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მედლებისთვის კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. მათ შორის საქართველოს ნაკრებიცაა. ჯილდოების მაძიებელნი ორ ჯგუფში არიან განთვისილი. **A ჯგუფში** ითამაშებენ: ჩერნოგორია, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი და საქართველო; **B ჯგუფში** — სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, ხორვატეთი, საფრანგეთი და ესპანეთი.

ჩვენს ჯგუფში ყველაზე ტიტულოვანია იტალია, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში სამ-სამი ოქროს, 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. ჩერნოგორიელები ერთხელ ევროპის ჩემპიონები იყვნენ, შარშანწინ მსგავს შეჯიბრებასა და 2013 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლი დაიმსახურეს, ბერძნებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთი ბრინჯაო აქვთ, 2004 და 2006 წლების მსოფლიო ლიგის მესამე პრიზიორები არიან, რუსებს ოლიმპიადებზე 2000 წელს ვერცხლი, 2004 წელს კი ბრინჯაო ერგოთ. რუმინეთი 1954 წლიდანაა ევროპის ჩემპიონატების მონაწილე და ამ სამოცი წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ ვერ მოხვდა ფინალურ ეტაპზე. აი, ასეთ გუნდებს შეხვდება საქართველოს ნაკრები (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქავთარაძე, ზურაბ რურუა (კაპიტანი), მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, დამირ ცრეპულია, მარინო ფრანიჩევიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ალექსანდრე რუსიშვილი, ანდრია ბითაძე (სათადარიგო), **მთავარი მწვრთნელი:** ვლადიმერ ისელიძე, **მწვრთნელი:** იოვან პოპოვიჩი), რომელიც გუშინ ჩერნოგორიაში გაემგზავრა დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად. იქ 10 ივლისამდე დარჩებიან, 11-ში კი ბუდაპეშტს ეწვევიან.

A ჯგუფის შეხვედრათა კალენდარი

14 ივლისი. რუმინეთი-**საქართველო,** 15 სთ. (თბილისის დროით), ჩერნოგორია-საბერძნეთი, იტალია-რუსეთი.

15 ივლისი. საქართველო-საბერძნეთი (13:30), რუსეთი-ჩერნოგორია, რუმინეთი-იტალია.

17 ივლისი. საბერძნეთი-რუსეთი, იტალია-**საქართველო** (13:30), ჩერნოგორია-რუმინეთი.

19 ივლისი. საქართველო-რუსეთი (15 სთ.), რუმინეთი-საბერძნეთი, იტალია-ჩერნოგორია.

21 ივლისი. რუსეთი-რუმინეთი, საბერძნეთი-იტალია, ჩერნოგორია-**საქართველო** (13:30).

ლექსო ცინცაძე

◎ ლერი ხაბელოვი — 50

ჩემპიონი ხალიჩაზეც, კაცობაშიც

ნამდვილი ლიდერი, გონიერი, გულისხმიერი ადამიანი, ჯენტლმენი ხალიჩასა და ცხოვრებაში — ასე ახასიათებდნენ სახელოვან ფალავან ლერი ხაბელოვს, როცა ის ჯერ კიდევ სარბიელზე გამოდიოდა, ასეთია იგი დღესაც. გემახსოვრებათ, როცა თითქმის ყველა მედროვე გადაუდგა ბატონ ბადრი პატარკაციშვილს და ნაციონალური ჭირის წინაშე ქედი მოიხარა, ხაბელოვმა ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის მსგავსად შინაგან მრწამსს არ ულალატა და სამაგალითო ქველმოქმედების ამაგისადმი მადლიერება საჯაროდ გამოხატა, რაც სამშობლოსთან დროებით განშორებად დაუჯდა.

დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს თბილისში. თავისუფალი სტილით ჭიდაობა (100 კგ) დაიწყო 12 წლისამ ვანო ნიკოლაძისა და ლადო მესტვირიშვილის ხელმძღვანელობით, 1992 წელს ბარსელონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სეულში (1988) კი მსგავს შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხუთი ოქროს (1985, 1987, 1990, 1991, 1993) და ერთი ბრინჯაოს მედალი (1995) მოიხვეჭა, ოთხგზის ევროპის ჩემპიონსა (1985, 1987, 1988, 1992) და მსოფლიო თასის მფლობელს (1991) თითოჯერ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში აქვს მსოფლიოს ჩემპიონობა მოპოვებული; საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა (1985, 1987, 1988) ერთხელ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა (1986) და ექვსჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა (1985-1990), რამდენჯერმე გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირები მოიგო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი. იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ამჟამად სეოკ-ის პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა.



ლერი ხაბელოვის წონით კატეგორიაში (100 კგ) ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა საჭიდაო სკოლის კორიფეები: ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ილია მატე, ასევე, ტიტულოვანი ფალავნები — პიოტრ ნანიევი, ასლანბეკ ბისულთანოვი, ასლან ხადარცევი და სხვები, რომლებიც თბილისელ სპორტსმენზე უფროსები და გამოცდილები იყვნენ, როგორც ვთქვით, ტიტულებით დახუნძლულები. ხაბელოვს სწორედ მათთან ჭიდილში უნდა დაემტკიცებინა საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა და გაეკვალა გზა ნაკრებისკენ იქ ადგლის დასაბევებლად.

„ჩემთვის დაუვიწყარია 1985 წელი. 21 წლისაც არ ვიყავი, პირველ დიდ გამარჯვებას რომ გავუგე გემო, თუმცა, კვარცხლბეკზე ასვლამდე ძნელი გზა გავიარე — მხოლოდ ევროპულ ბატალიებს არ ვგულისხმობ. ჯერ საქართველოში უნდა დამემტკიცებინა ჩემი უპირატესობა, რაც არც ისე იოლი იყო, მერე — საბჭოთა კავშირში “, — იხსენებს ლერი ხაბელოვი.

და ავჭალელმა ჭაბუკმა შეძლო ეს როგორც შინ, ისე გარეთ: იმ წელიწადს ყველა დიდი შეჯიბრება მოიგო — თბილისის საერთაშორისო ტურნირი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, თუმცა, ყველაფერ ამას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ყველა მეტოქე ჩამოიშორა გზიდან, სსრკ ნაკრების მწვრთნელები, რომლებსაც ვერცხლიც კი ვერ აკმაყოფილებდათ საერთაშორისო სარბიელზე (ასეთი იყო მაშინდელი საბჭოური პოლიტიკა), ენდნენ დებიუტანტს, რომელმაც ერთი ამოსუნთქვით გაიკაფა გზა ნაკრებისკენ. აი, რას წერს 1985 წლის გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“: იმ დღეს ლაიპციგში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედლის ბედი წყდებოდა. ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ახალგაზრდა ლერი ხაბელოვი და ტიტულოვანი გერმანელი უვე ნოიპერტი. საბჭოთა სპორტსმენი თავიდანვე დამაჯერებლად აგროვებდა ქულებს. მერე სიტუაცია შეიცვალა — მასპინძელი გააქტიურდა, მშვილდივით მოღუნა მეტოქე, მარწუხებში

მოიქცია და, სადაცაა, ბეჭებზე უნდა დაეცა. საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ივან იარიგინი, რომელსაც სახეზე იშვიათად შეატყობ აღელვებას, შეშფოთდა და ემოციებს ვერ იოკებდა. უცებ სასწაული მოხდა: ხაბელოვმა არაადამიანური ძალა მოიკრიბა, თოვლშებერტყილ ნაძვის შტოსავით წელში გაიმართა და ნოიპერტი ხალიჩაზე დაანარცხა. ელვისებური ფანდის მხილველმა დარბაზმა იხუვლა. ჩემპიონმა სარბიელი მშვიდად დატოვა. ხალიჩიდან რომ გადმოვიდა, იარიგინს ჩაულაპარაკა — მგონი, ნეკნი გამიტყდაო. მართლაც, მეტოქეს შებოჭვისას ხაბელოვისთვის ორი ნეკნი ჩაემტვრია. ეს ტრავმაც ვაჟკაცურად გადაიტანა, იარა მოიშუშა და იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

— და უკვე ტიტულოვანი ფალავანი მომდევნო წელს ნაკრებს ჩამოგაშორეს. რა მოხდა?

— ჩემი ბრალი იყო. იმ ჩემპიონატიდან ცოტა ხნის შემდეგ ერევანში საბჭოთა და ამერიკელი მოჭიდაველების ამხანაგური მატჩი გაიმართა. მეტოქეს 7:0-ს ვუგებდი. მერე არ ვიცი, რა დამემართა — ხელფეხი შემეკრა და ის ორთაბრძოლა 7:8 დავთმე. ნაკრების მწვრთნელები გამიბრაზდნენ, საპასუხო შეხვედრაზე ამერიკაში არ წამიყვანეს და, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმაც უჩემოდ ჩაიარა. ნაკრებში ადგილი ასლან ხადარცევმა დაიბევა. მამაჩემის რჩევა-დარიგებები რომ არა, ისე ვიყავი გულგატეხილი, ჭიდაობისთვის თავის დანებებაც მინდოდა.

და ისევ დაიწყო ხელახალი ძიება ნაკრებისკენ მიმავალი გზისა. ყოველდღიურმა მუხლჩაუხრელმა გარჯამ შედეგი გამოიღო — ლერი ხაბელოვმა 1987 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იოლად მოიგო და ისევ დაუბრუნდა საკავშირო ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იმავე წელს მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ფინალში რუმინელ ვასილე პუშკაშუს 12 წამში სძლია.

და ისევ იმედგაცრუება: 23 წლის ფალავანი ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებობდა. ქადილის ძალაც შესწავდა, მაგრამ სეულში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — შეჯიბრების დაწყებამდე ორი საათით ადრე საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ხაბელოვი კიდევ ერთხელ გაიყვანა ხალიჩაზე მოსათელავად და აქ მოხდა ის,რასაც არავინ ელოდა — ქართველ მოჭიდავეს ნამიანი ხალიჩაზე ფეხი გაუსრიალდა და ბარძაყის კუნთი გაუწყდა. საშინელი ტკივილის მიუხედავად (გამაყუჩებლები საქმეს ვერ შველოდა), ზედიზედ რამდენიმე მეტოქეს აჯობა, ფინალი კი პუშკაშუსთან დათმო, არადა, მისთვის მანამდე რვა შეხვედრა ჰქონდა მოგებული საერთო ანგარიშით 65:0.

ლერი ხაბელოვმა ოთხი წლის შემდეგ აისრულა ოცნება: ბარსელონაში იგი მსოფლიოს და ევროპის ოთხ-ოთხგზის ჩემპიონის ტიტულით ჩავიდა და უცილობლად ყველა ფავორიტად მიიჩნევდა. ლერიმაც გაამართლა იმედები - კატალონიის დედაქალაქში ზედიზედ დაამარცხა თურქი ალი ქაიალი (2:0), სამხრეთაფრიკელი იოჰანეს ჰერმანუს როსუკი (8:1), ბულგარელი მიროსლავ მაკავეევი (3:0), უნგრელი შანდორ კიში (6:0), პოლონელი ანჯეი რადომსკი (5:0), ფინალში კი გერმანელ ჰეიკო ბალცს 2:1 აჯობა და ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. დიდ სპორტს ვალმოხდილმა ფალავანმა 1996 წელს დაანება თავი. მას შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა, 2012 წელს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს, საქართველოს პარლამენტში კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს ხელმძღვანელობს. ტიტულოვანი და მრავალ საქმეში გამობრძმედილი ფალავნისთვის წლევანდელი 2014 წელიც გამორჩეულია: ჯერ ერთი, რომ სამიოდე თვის წინათ მეხუთე შვილი - ვაჟი შეეძინა, რამაც სიცოცხლის ახალი ენერგიით აღავსო და, მეორეც, დღეს დაბადებიდან 50-ე წლისთავს აღნიშნავს.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ლერი!

ვაჟა დანელია

◎ კვალი დროში

ილია ხეროდინაშვილი — სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერსა და რაციონალიზატორს, ნავთობისა და გაზის მრეწველობის ღვაწლმოსილ მუშაკს, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიების წევრს ილია ხეროდინაშვილს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-საინჟინრო მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

ილია ხეროდინაშვილი დაიბადა 1934 წლის 5 ივლისს. 1953 წ. — დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, 1958 წ. — მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტი, 1981წ. საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, 1990წ. — მოსკოვის საგარეო ვაჭრობის აკადემია. გავლილი აქვს სტაჟირება გერმანიაში. 1958-1967წწ. მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, — ბატონ ილიას ერგო პატივი ჯერ კიდევ 1959 წელს პირველს აენთო ცისფერი ალი ამ ქარხნის მარტენის ღუმელში, ხოლო 2003 წელს — ქ. ბათუმში. აგრეთვე მუშაობდა: 1967-1988წწ. რესპუბლიკური სამმართველოს „საქორგგაზის“ უფროსად, „საქმთავარგაზის“ უფროსის მოადგილედ, „საქგაზსახკომის“ თავმჯდომარის მოადგილედ, ტრესტ „თბილგაზის“ მმართველად და ერთდროულად „საქგაზსახკომის“ თავმჯდომარის მოადგილედ; 1988-1993წწ. — საკავშირო გაზის მრეწველობის სამინისტროს „საქტრანსგაზმრეწვის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და თურქეთში საგარეოსაწარმოს „გაზექსპორტის“ წარმომადგენლად; 1994-1995წწ. — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მძიმე მრეწველობისა და ენერგეტიკის საკითხთა სახელმწიფო მრჩევლად; შემდგომ — შპს „ორგტექსერვისის“ გენერალურ დირექტორად, ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ დირექტორის მოადგილედ და „სემეკის“ მთ. სპეციალისტად, ამჟამად კი — აღნიშნული კომისიის მრჩეველთა საბჭოს უფროს მრჩევლად. მის საქმიანობაში აღსანიშნავია: გაზის გამანაწილებელი სისტემების ზოგადი თეორიის (იგი აღიარებულ იქნა ამ თეორიის ფუძემდებლად, ხოლო ენერგონეგენტროპიული კოეფიციენტის ფორმულას დაერქვა „ხეროდინაშვილის ფორმულა“), დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების, გაზის მეურნეობის განვითარების კონცეფციებისა და დარგის ყველა აუცილებელი ნორმატიული აქტის შემუშავება და სხვა. მისი ინიციატივით შეიქმნა გაზის დარგის ხუთი რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაცია. თურქეთში მოღვაწეობის დროს შეიმუშავა თურქეთში ბუნებრივი გაზის მიწოდების სქემა-პროექტი, სადაც საქართველოს ტერიტორია გამოიყენებოდა დერეფნად მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობისათვის. ავტორი და თანაავტორია 83 მეცნიერული ნაშრომისა, მათ შორის, 31 გამოგონების და მონოგრაფიის. არის აკადემიური დოქტორი გაზის დარგში, „საპატიო ნიშნის“ და ორგზის „ღირსების“ ორდენოსანი.

ბატონი ილია ბრძანდება ეროვნული ტრადიციებით შემკული ქართული ოჯახის თავკაცი, ზნეკეთილი, კაცთმოყვარე, იგი ეიმედება ქართველ სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებას.

ბატონო ილია, საქართველოს ენერგეტიკოსები, სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოება გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის, ხალხისა და თქვენი ოჯახის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს საინჟინრო აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

◎ რაც ახლახან დამეწერა...

ჯემალ ინჯია

ქართული ენის გაკვეთილი შვილებისთვის

ქალაქმა შექმნა
ჩიქორთული გამოთქმა „ვჩუქნი“,
უფრო ადრე კი
აიხირა — „აბსოლუტურად“.
ასე უბნობენ
გრამატიკის უვიცი ჭუკნი,
რაც დედა-ენის
მასწავლებელს უჩანს ბუუტურად.

თუ დიდი სიცხის
გამო ეცა ცეცხლი ხე-ტყიანს,
ამბობენ: „ეცა
დიდ სიცხესთან დაკავშირებით“.
რომ თქვან ოჯახზე —
„ქეიფობენ, ალბათ“... გეტყვიან:
„სავარაუდოდ,
ქეიფობენ ბაკაშვილები“.

მსურს სიცოცხლეში
მივეახლო კაცი ოპიზას,
რომ ვიამაყო
მისი ხილვით თვალდაჭყეტილმა.
თქვენ კი შემინდეთ,
ჩემი წიგნის ტაციობისას
„სავარაუდოდ“,
თუ არავინ არ გაჭყლეტილა.

* * *

ავად თუ არ გახდა ქალით და მუსიკით
კაცი არკაცობას მაშინ დაეჩვევა,
თუნდაც გამოადგეს კიდეც მამულს იგი,
მაინც დასჩემდება თავში დაეჭვება.
ჩემო სიყვარულო, თბილო რომანსებო,
შმაგო სიმფონიავ — სულის განათებავ,
ჩემი თაყვანი — თქვენ, გმადლობთ,
რომ არსებობთ
თავზე ხელაღებულ კაცთა გამართლებად.

ნოდარს

რაღაც გეშლება შენ, ძმაო —
ეს გაიძვერა ჰარიკო,
რომ ამბობ, ნაცში შეძვრაო, —
როგორ? შემძვრალი არ იყო?

„თხა და გიგო“

მემდურება თხის პატრონი გიგო —
ლექსს მიწუნებსო მუდამ.
შე ჩემის კიკო, ლექსი რომ გიქო,
ლექსი დაწერო უნდა.

ჟრუანტელი

...ის მეუბნება — ვმადლობ უფალსო...
მე კი სხეულში ვგრძნობ ჭიანჭველებს —
თურმე პოეტი დადის უფასო
სასადილოში, სადაც აჭმევენ.

ქართულო მიწავ!

მე როდი ვიცი, შენს სახოტბედ
ვინ დამიძახა,
რა გზით ვიარე ან რომელი
ზღვა გადავლახე.
გწამდეს, რომ ჩემთვის შენ მაშინაც
წმინდა მიწა ხარ,
წვიმა რომ მოვა და საშინლად
აგატალახებს.

2014 წლის 14 იანვარს

არ მოისურვა წერამ, ერთმანეთს
ხომ შეიძლება, რომ შეხვედროდნენ
ასი წლის ლადო ასათიანი
და ოთხმოცი წლის ჯემალ ინჯია.

არა — ხუდონჰესს!

სვანეთისათვის ხუდონჰესი
არის დომხალი უდომხლესი.
სვანი ხასიათს კარგად ავლენს
სვანები სიტყვას არ გადავლენ,
სვანები არსად არ გადავლენ.

* * *

ტირაჟი რომ პატარაა და ავტორი დიდი,
ხალხის გულთან ამნაირი წიგნი მუდამ მიდის.
მკითხველსა და მწერალს შორის
მაშინ ტყდება ხიდი,
მწერალი რომ პატარაა და ტირაჟი დიდი.

როგორ მომხსნიან

მე დამიძველდა თანამდებობა,
მაგრამ სამსახურს პირნათლად შევრჩი.
ვუმღერდი გორს და თამარ დედოფალს
განსხვავებული სასმისით ხელში.
ზოგ-ზოგი ნატრობს — სახლში გამიშვან...
„კვლავ ის ჯემალი, სულ ის ინჯია?!.“
როგორ მომხსნიან... სოსომ დამნიშნა
ადამიანის სულის ინჟინრად.

მოთმენის სონეტი

რა ვუყოთ თუ არ გიღიარა ლექსი შვედეთმა,
ისიც საქმეა, თბილისამდე თუკი მიხვედი.
სულ რაინდული მოკრძალებით უკან იხევდი,
ჩრდილში იდექი, ჟამიდანჟამ მთხზველი
შედევრთა.

მოგწყინდა ჩერო და შემტევად იქეც
შემტევთან,
გონი გაგეხსნა საწუთროს არსს გვიან
მიხვედრილს
და გზა დაჰქენი ვარსკვლავების ბრწყინვის
მიხედვით,
მტვერს არ შეუკრთი — გზაც რა გზაა თუ არ
შემტვერდა.

ნუ მოგხრის სენი, ვითომც იგი არ
შეგემჩნიოს,
სხვადასხვა ნიჭთან არ ხარ მწყრალად
კაცი ენამზე.
მოთმენის ნიჭი კი, ძმავ, მისი უნდა გერჩიოს,
ლიახვთან ჯოხით რომ დგას ვიღაც
ლიახველაძე,
ვისი ხანმოკლე სიხარულიც, სამიდღემჩიოდ,
ჰკიდია ნემსკავს წამოგებულ ჭიაყელაზე.

ფანჯარა

„ამ ფანჯარასთან ბევრმა ვინმემ ჩამოიარა“
ჰერედია

ვუწოდებ ჩემი დაისის აისს
ქალს, არავისთან ვინც არის ვალში.
მე ჯავზის დარად ცხარე ვარ და ის
ტკბილია, როგორც სამოთხის ვაშლი.
ქუჩას დაჰყურებს ფანჯრიდან ის ძირს
და ერთადერთი კითხვა აბოდებს —
რა მოხელეა ფანჯარა, მის წინ
თუკი პოეტი არ მიაბოტებს.

◎ იწყება „თავდავიწყება?“

დიდი ორგიების დრო ანაკლიაში

(მეცხრე ბვერდიდან)

სიკვდილსაც დავიწყებიხართ, სულ დამავიწყდა, დაგაკვალიანოთ ვინც ჯერ არს, იცით თუ როგორ უნდა მოვხდეთ კაზანფესტივალზე, თუნდაც ანაკლიაში, რომელიც ათი დღით „კაზანტიპის რესპუბლიკად“ გადაიქცევა?

კაზანტიპის ვიზა ზონარზე დამაგრებული შტრიხკოდიანი პლასტიკური ბარათია, რომლის აღებაც საიტზეა შესაძლებელი, მისი ფასი 200-250 დოლარია. მაისის შემდეგ ფასი მინიმუმ 50 დოლარით გაიზარდა. თან უნდა იქონიოთ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული ძველმოდური ჩემოდანი. გემახსოვრებათ, ალბათ, კუთხეებში რომ რკინის საფარი ჰქონდა (თუ არ მოსწრებიხართ ბებია-ბაბუებს ჰკითხეთ), ოღონდ აუცილებლად ყვითლად უნდა შეღებოთ და სწორედ მასზე მიამაგროთ შტრიხკოდი. სწორედ ეს ყვითელი ჩემოდანია ფესტივალის სიმბოლო. ფესტივალის ძირითადი ასოცირებული ფერი ნარინჯისფერია (ნარინჯისფერი რევოლუციაში არ აგერიოთ) სწორედ ამ ფერის ბიკინები (მამაკაცებს — შორტები), მაისური და სათვალე უნდა იქონიოთ. ყველაფერ ამას დასასწრები ბილეთი „viZa“-ც სჭირდება. ამ აქსესუარის და, განსაკუთრებით, ყვითელი ჩემოდნის მფლობელებს „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე გადაადგილება უპრობლემოდ შეეძლებათ. ყვითელი ჩემოდნისა და ვიზის ტარება ტერიტორიაზე აუცილებელია. მოკლედ, ანაკლიაში დიდი ორგიების დრო მოდის.

ანაკლიელი მდგმური გვყავს უბანში და ის გამახსენდა. ისე, ზრდილობის გულისთვის ჩამოვუგდე სიტყვა. შენც არ მომიკვდე, არც გაკვირვებია, მით უმეტეს არც გაბრაზებულა — მაგი რამდენი ხანია, ჯიმა, რომ ვიციო. ის კი

არადა, ხალხი ემზადებაო უკვე. წარმოიდგინე, რა ფული შემოვა, როცა თითო ნომერში ორას-ორასორმოცდაათ ლარს გვპირდებიან. მე შენ გეტყვი და, ღამეს სახლში გათევენ თუ რაო. მთავარია, ზღვასთან იყონ ახლოსო. ჩვენ ქვეყანას მსოფლიოს გააცნობენო, ადგილობრივი პროდუქტიც გასაღდება, ორმოცი ათას კაცს ჭამა ხომ უნდაო.

აგაშენათ, ღმერთმა. თუ ჩვენ ქვეყანას შიშველ-ტიტველი, ახურუშებული გოგო-ბიჭები უკანალის ქნევით გაუთქვამენ სახელს, რაღა გვიჭირს. ხომ იძახიან ეკონომიკური წინსვლა გველისო, ალბათ, ეს ჰქონდათ გათვლილი და გვიმალავდნენ, ემანდ სიხარულისაგან გული არ გაუსკდეთო.

მამუკა ვაშაკიძე.

P. S. ჩემი მეზობლის, ძირძველი ნახალოვკელი რაჩიკას კომენტარი:

„წარმოიდგინე, პლაჟზე ზიხარ, პირში ანაშა, შენი ასო — ინასტრანკა ქალის ხელში, აქედან კი მეორე ჯეელი მამალ მინეტს გიკეთებს, სუფთა ეგზოტიჩნი რამეა მაშ. თან მუზიკაც უკრამს და „ფულიც მოდის“.

ისე ჩემო რაჩიკ, შენც ჯვარი გწერია და მეც, ეგ ჩვენმა ხელისუფლებამ წარმოიდგინოს და ცოტა დაფიქრდეს, ძაან დაუკრეფავენ ხომ არ გადადიან, თორემ ისედაც მოთმინების ფიალაავსებული ხალხი სულ ერთ ადგილზე დაიკიდებს შენს ევროკავშირსაც, დემოკრატიასაც, ემაგ ყვითელ ჩემოდნებსაც, პედერასტ ნიკიტა პირველსაც და რა მუზიკაზეც აიეკვებენ, მერე ვნახოთ.

მ. ვ.

◎ დღესასწაული

შობა ნათლისმცემლისა და წინასწარმეტყველისა იოანესი

7 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანეს შობას.

...ცნობილია, რომ წინასწარმეტყველი იოანე მღვდელ ზაქარიას (აარონის მოდგმა) და მართალი ელისაბედის (მეფე დავითის მოდგმა) შვილი იყო. მისი მშობლები მთიან მხარეში, იერუსალიმში, სამხრეთით ცხოვრობდნენ, იგი დედის მხრიდან უფალი იესო ქრისტეს ნათესავი იყო და უფალ იესო ქრისტეზე ექვსი თვით ადრე დაიბადა.

ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, რომ იოანეს მამას — ზაქარიას ტაძარში მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და მისი ვაჟის მომავალი დაბადება აუწყა. და, აი, კეთილმსახურ მეუღლეებს, რომლებიც ხანში შესულობამდე შვილის ნუგეშს მოკლებული იყვნენ, ბოლოს და ბოლოს უჩნდებათ ვაჟი, რომელსაც ისინი ლოცვებში ითხოვდნენ.

წინასწარმეტყველი იოანე გაიზარდა ველურ უდაბნოში. ის დიდი მსახურებისთვის საკუთარ თავს მკაცხოვრებით — მარხვით და ლოცვით ამზადებდა. იგი უხეშ ტანისამოსს ატარებდა, რომელიც ტყავის ქამრით ჰქონდა შეკრული. იოანე იკვებებოდა ველური თაფლით და მკალით.

იოანე წინასწარმეტყველი უდაბნოს მცხოვრებად დარჩა იქამდე, სანამ უფალმა იგი ოცდაათი წლის ასაკში მესიის საქადაგებლად არ მოიხმო.

ამ მოწოდებას დამორჩილებული წინასწარმეტყველი იორდანეს ნაპირზე გამოცხადდა, რათა ხალხი მომავალი მესიის (ქრისტეს) მისაღებად მოემზადებინა.

რელიგიური განბანისთვის იოანემ, მდინარესთან შეკრებილ ხალხს მონანიება და ცოდვათა მისატევებლად ნათლობა უქადაგა. მისი ქადაგების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მანამ, სანამ გარეგნულად განიბანებოდნენ, ადამიანები ზნეობრივად უნდა განიწმიდონ და ასე მოემზადონ სახარების მისაღებად. რა თქმა უნდა, იოანეს ნათლობა ჯერ კიდევ ქრისტიანული ნათლობის მადლმოსილი საიდუმლო არ იყო. მისი აზრი, შემდგომი — წყლითა და სული წმიდით მომავალი ნათლობის მისაღებად სულიერ მომზადებაში მდგომარეობდა.

ერთი საეკლესიო ლოცვის მიხედვით, წინასწარმეტყველი იოანე ცისკრის ნათელი ვარსკვლავი იყო, რომელიც თავისი ბრწყინვალებით ყველა სხვა ვარსკვლავის ნათებას აღემატებოდა და მადლიანი დღის წინა დილას გვაუწყებდა, სიმართლის მზის — ქრისტეს მიერ განათებულს.

იოანესთან იორდანეზე მოსანათლად თვითონ სოფლის მაცხოვარი, უფალი იესო ქრისტე მივიდა. მაცხოვრის ნათლობით წინასწარმეტყველმა იოანემ დაასრულა თავისი წინასწარმეტყველური მსახურება.

გიული ლიპარტია

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ჩვენი კარაბადინი

ფეხი გამიკავდა

კრუნჩხვების არასასიამოვნო შეგრძნება ფეხის კუნთებში ბევრ ჩვენგანს განუცდია. რისგან ჩნდება ეს კრუნჩხვები და რა უნდა ვქნათ ამ სიტუაციაში?

თუ ფეხი გაგიკავდათ წყალში. შემობრუნდით ნაპირისკენ. თუ თვითონ ვერ გაცურდებით, მოუხმეთ საშველად. როგორც წესი, ცურვის დროს ფეხი გვიკავდება (გვეკრუნჩხება) გაცივების გამო, ასე რომ, როდესაც ნაპირზე გამოხვალთ, ჯერ იჩქმიტეთ კუნთზე, შემდეგ დაიზილეთ კანჭი, მოძრაობით ქვევიდან ზევით. გახევებული კუნთები რომ გავითბოთ, შეიძლება თბილი სილით დავიფაროთ.

თუ კრუნჩხვა ძილის დროს დაგემართათ, წამოჯექით საწოლზე, ჩამოუშვით ფეხები იატაკზე, იჩქმიტეთ ფეხზე. დაიზილეთ ფეხი თითებით საზარდულისაკენ ჯერ რბილად, შემდეგ ტყაპუნით. ეს გააუმჯობესებს სისხლის

ცირკულაციას და დაუბრუნებს ფეხს მგრძნობელობას.

მასაჟის შემდეგ წამოწექით მოხერხებულ მდგომარეობაში, ფეხები ასწიეთ მაღლა, დაიდეთ მათ ქვეშ მუთაქა ან სხვა რამე. ფეხის წვერები მოზნიქეთ თქვენკენ. შეიძლება ფეხზე დაიდოთ პირსახოცში შეხვეული სათბურა (ე. წ. „გრელკა“) ცხელი წყლით. სითბო დაგვეხმარება, მოვადუნოთ გაქვავებული კუნთი.

ღამის კრუნჩხვების პროფილაქტიკისთვის ძილის წინ შეიძლება მივიღოთ ფეხის თბილი აბაზანები. სხვათა შორის, ღამის ფეხის კრუნჩხვები ხშირად ხდება ფეხმძიმობის მეორე-მესამე ტრიმესტრში იმის გამო, რომ მოცულობით გაზრდილი საშვილოსნო აწვება ღრუ ვენას.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

თუ კრუნჩხვები ხშირად გემართებათ, მიმართეთ ექიმს. კრუნჩხვები შეიძლება გვიდასტურებდნენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად:

ქრონიკული ვენოზური უკმარისობის შესახებ. საღამოსთვის თუ კრუნჩხვების გარდა გრძნობთ ფეხების დაღლას ან გიშუპდებათ ისინი, უნდა მიმართოთ ფლებოლოგს და გაიკეთოთ ულტრაბგერითი დუპლექსური ანგიოსკანირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გავაკეთოთ დასკვნა ფეხებზე ვენების მდგომარეობის შესახებ;

ორგანიზმში კალიუმის, კალციუმის ან მაგნიუმის უკმარისობის შესახებ. სისხლის პლაზმის ელექტროლიტური შემადგენლობის დარღვევის გამოვლენაში დაგვეხმარება ბიოქიმიაზე სისხლის ანალიზი.

შაქრის დიაბეტის არსებობის შესახებ. კრუნჩხვებს ხშირად სისხლში გლუკოზის მაღალი დონე იწვევს. ამ შემთხვევაში უნდა ჩავაბაროთ სიხლის ანალიზი შაქარზე.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

აბრაამის კარის მეზობელი უშიშროების პოლკოვნიკი იყო. ისინი ყოველ დილით ხვდებოდნენ ერთმანეთს კიბის ბაქანზე.

— საღამო მშვიდობისა ივან ივანიჩ! — ესალმებოდა ყოველ ჯერზე აბრაამი მეზობელს.

— აბრაამ, სულ რატომ მეუბნები საღამო მშვიდობისაო, — ახლა ხომ დილაა? — ჰკითხა ერთხელ ამით გაკვირვებულმა უშიშროების პოლკოვნიკმა.

— რა ვიცი, ივან ივანიჩ, როცა თქვენ გხედავთ, თვალთ მიბნელდება და...

* * *

განცხადება: გავთხოვდები კრიზისული პერიოდის ჩამთავრებამდე.

ვლაპარაკობ წყნარად, ვამზადებ გემრიელ საჭმელს, თავი არასოდეს არ მტკივა.

* * *

— **სახლში** ტარაკნები გყავთ?

— არა, ისინი ობობებმა შეჭამეს.

— თქვენ ობობებიც გყავთ?

— არა, ისინი ვირთხებმა შეჭამეს?!

— როგორ, ვირთხებიც გყავთ?!

— არა, ისინი გენადი ვასილიჩ ბელოვმა შეჭამა.

— ეს ვინღაა?

— ოჰ, მაპატიეთ, დამავიწყდა, რომ გაგცნობოდით...

* * *

— **ნუ** მიყვირი, თორემ დაავადდები.

— რით?

— ყბის მოტეხილობითა და ტვინის შერყევით!

* * *

ძალს ყველაფერი მშვენიერი უნდა ჰქონდეს! სულიც, აზრებიც და ყველაფერი, რაზეც ახლა გაიფიქრეთ!

* * *

ორი გაუთხოვარი ქალი საუბრობს:

— გუშინ ქუჩაში მივდიოდი და უცებ მანიაკი დავინახე! მთელი ძალითა და ღონით გავიქეცი!

— დაეწია?

* * *

ფერმერმა ვეტერინარ აბრამს რჩევისთვის მიაკითხა.

— ცხენი მყავს. ზოგჯერ ნორმალურად დადის, ზოგჯერ კი კოჭლობს. რას მირჩევდით?

— როგორც კი ნორმალურად დაიწყებს სიარულს, მაშინვე გაყიდეთ..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერუსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24